თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!

# დროება

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№24 . 1991 წ

გამოდის 1989 წლის ივლისიდან

## ანტიიმპერიული ძალების კონფერენცია

ამა წლის 22 თებერვალს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შტაბბინაში გაიმართა ანტიიმპერიული ძალების კონფერენცია. კონფერენციას, რომლის ინიციატორი იყო სედპ, ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული მოძრაობების და პარტიების წარმომადგენლები. კერძოდ, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის, საქართველოს, უზბეკეთის, თურქმენეთის, სომხეთის, რუსეთის და პოლონეთის წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა. მან თავის სიტყვაში მიმოიხილა ეროვნული მოძრაობის განვითარება 1988-91წწ საქართველოში. მან კრიტიკულად შეაფასა 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები, როგორც კრემლის მიერ დაშვებული და საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებული. უარყოფითად შეაფასა დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა. კერძოდ ის, რომ მან საქართველოს იურიდიულად არ განუსაზღვრა სტატუსი, როგორც აგრესიის ქვეშ მყოფი, ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნისა, არ შეაჩერა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე, არ დააყენა საკითხი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, დააკანონა სსრკ შინაგანი ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, და ამ პირობებში საქართველო გამოაცხადა რესპუბლიკად. მან აღნიშნა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ გასაჭირში ჩააყენა საქართველო: ეთნოკრიზისი სამაჩაბლოში, სოციალურ სფეროში არასრულად გატარებული რეფორმები, ვითარების მოსალოდნელი გამწვავება აფხაზეთში, დანაშაულობების გაზრდა, პოლიტიკური პარტიების შევიწროება და დევნა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვა პოლიტიკური ოპონენტებისთვის. ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ გარდატეხა უნდა შეიტანოს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, განახორციელოს საოკუპაციო რეჟიმის საწინააღმდეგო მასობრივი აქციები, რასაც შესაძლოა სისხლის ღვრაც მოჰყვეს, მაგრამ სჯობს სისხლი დაიღვაროს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის სამართლიან ბრძოლაში, ვიდრე სისხლიან დანაშაულობებში და ეთნოკრიზისებში. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოუწოდებს საბჭოთა იმპერიაში მყოფ ქვეყნებს გაერთიანდნენ ერთი ლოზუნგის ქვეშ - საოკუპაციო ჯარებმა დასტოვონ დაპყრობილი ქვეყნები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ირაკლი ქადაგიშვილი. მან ილაპარაკა ედპ-სა და სედპ-ს ერთობლივ, მშვიდობიანი ანტიიმპერიული ბრძოლის შესახებ.

თემურ სუმბათაშვილმა /სედპ/ ისაუბრა მომავალში ანტიიმპერიული კოალიციის კოორდინირების და ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მან აღნიშნა, რომ სწორედ უკომპრომისო ანტისაოკუპაციო ბრძოლით მიიღწევა თავისუფლება, რომ საბჭოური მრავალპარტიული არჩევნებით და ე.წ. პარლამენტური გზით მიზნის მიღწევა ილუზიაა.

ლაშა ქოიავამ /სედპ/ [illegible] საკითხი ინფორმაციის წყაროების გამოყენების და ინფორმაციების გაცვლის შესახებ, რისი განხორციელებაც შესაძლებელია იმ კავშირებით, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია პოლონეთის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან "ვარშავა 90" და რადიკალურ პარტიასთან, რომლის შტაბ-ბინა იმყოფება რომში.

კონფერენციის ყველა დელეგატმა მხარი დაუჭირა სედპ-ს მოწოდებას - საოკუპაციო ჯარებმა დასტოვონ დაპყრობილი ქვეყნები და ანტიიმპერიული კოალიციის შექმნას.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები: ვარშავა-90, /პოლონეთი/, რადიკალური პარტია /რომი/, ანტიბოლშევიკური ბლოკი /გერმანია, მიუნხენი/, პარტიათაშორისი ასამბლეა /უკრაინა/, ახალგაზრდა ლიტვა /ლიტვა/, ბელორუსიის სახალხო ფრონტის რადიკალური ფრთა /ბელორუსია/, ორგანიზაცია "ბირლიკი" /უზბეკეთი/ და სხვა.



## როგორ დავუპირისპირდეთ საოკუპაციო ჯარებს

იმპერიის მთავარ დასაყრდენს საოკუპაციო ჯარები წარმოადგენენ, ამიტომ მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული. სამწუხაროდ, მათდამი საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას რაღაც გაურკვეველი პოზიცია უჭირავს. მთავრობისგან განსხვავებით ეროვნული კონგრესი სწორედ საოკუპაციო არმიას უპირისპირდება, რადგან აქ შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები სთვლიან, რომ სანამ საქართველოში სსრკ-ს ჯარები იდგებიან ჩვენ ვერ ვიქნებით თავისუფალნი. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და მათთან მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლა ყოველი ჩვენთაგანის ზნეობრივი ვალია. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, თავიანთი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ უფრო მეტ რისხვას აფრქვევს, ვიდრე იმპერიული არმიის ოფიცრების მიმართ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს მათი საქართველოში ყოფნა ისტორიული კანონზომიერებაა.

გაზეთ "[illegible]" 24-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, თუ როგორ უპირისპირდებიან საოკუპაციო ჯარებს ქალაქ პანევეჟისში. თავისთავად, სსრკ თავდაცვის მინისტრის 27 ნოემბერს გამოცემული განკარგულების შემდეგ ქვემოთ შემოთავაზებული ზოგიერთი წინადადება უტოპიურად და საშიშად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობთ, მასში მრავალი რაციონალური და გადმოსაღები იდეაა ჩადებული.

ბოლოსდაბოლოს ქართველმა ხალხმა იმპერიული არმიის ოფიცრები უნდა აღიქვას როგორც თავისი სამშობლოს დამპყრობლები და არ უნდა გამოიჩინონ მათ მიმართ წრეგადასული ქართული სტუმართმოყვარეობა.

პანევეჟისის ქალაქის მმართველობის კრების /10.09.90/ № 11 ოქმის ამონაწერი:

"... 1. შეწყდეს თადარიგის სამხედრო მოსამსახურეთათვის ბინების გამოყოფა და ავტომანქანების სადგომების განაწილებისას აიკრძალოს დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის უპირატესობების მინიჭება.

2. ეთხოვოს ქალაქის საბჭოს შევიდეს შუამდგომლობით უმაღლეს საბჭოში, რათა არამართებულად იქნას ცნობილი ლიტვის სსრ-ს მინისტრთა საბჭოს მოქმედი დადგენილებები დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის ავტომანქანების სადგომების განაწილებისას უფლება-უპირატესობათა მინიჭებისა და თადარიგის სამხედრო მოსამსახურეთათვის კაპიტალური დაბანდებებიდან საცხოვრებელი ფონდისათვის 10 პროცენტის გადმორიცხვის შესახებ. უფლება მოგვეცეს ეს სახსრები გამოვიყენოთ ქალაქის მმართველობის შეხედულებისამებრ.

ორგანიზაცია "ახალგაზრდა ლიტველის" პანევეჟისის განყოფილების მიერ გაზეთ "პანევეჟისის ხმაში" /3 და 10.10.90/ გამოქვეყნებული წერილიდან:

3. ოკუპანტებს აეკრძალოთ ქალაქში საცხოვრებლად ჩამოსვლა.

4. საცხოვრებელი ფართი ქალაქში გამოეყოთ მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ე.ი. იმ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს და შთამომავლებს, რომლებიც ლიტვის მოქალაქეები იყვნენ 1940 წლის 15 ივნისამდე.

5. ქალაქში რეკლამები გაკეთდეს მხოლოდ ლიტვურ ენაზე.

6. ქალაქის კინოთეატრებში და ვიდეოსალონებში ფილმების დუბლირება მოხდეს მხოლოდ ლიტვურ ენაზე.

7. ქალაქს გადაეცეს საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ აშენებული ბინები, რომლებშიც ამჟამად ცხოვრობენ ოკუპანტები.

პანევეჟისის რაიონული საბჭოს "საიუდისის" მიერ ადგილობრივ გაზეთ "თავისუფალ სიტყვაში" 20 ოქტომბერს გამოქვეყნებული წერილიდან:

იმასთან დაკავშირებით, რომ სუკ-ის მიერ მხარდაჭერილი სსრკ-ს სამხედრო კომისარიატები არ სწყვეტენ ლიტველი ჭაბუკების მიმართ ვანდალურ აქტებს და არ ემორჩილებიან ლიტვის რესპუბლიკის კანონებს, პანევეჟისის "საიუდისის" რაიონული საბჭო ეყრდნობა რა "საიუდისის" სეიმის გადაწყვეტილებას შემოაქვს შემდეგი წინადადებები:

1. ლიტვის მოსახლეობისა და მთავრობის მიმართ დანაშაულებრივ ორგანიზაციებად ჩაითვალონ:

ა/ სსრკ სამხედრო კომისარიატები; ბ/ სსრკ სუკი; გ/ სკკპ; დ/ სადესანტო და სხვა სამხედრო ნაწილები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლიტვის მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებულ ტერორისტულ აქტებში.

2. სსრკ სამხედრო კომისარიატებს შეუწყდეს მრავალარხიანი კავშირი /ტელეტაიპი და ა.შ./ და გამოერთოს საკომუნიკაციო კავშირის განყოფილებები. დაეტოვოთ მხოლოდ ის ტელეფონები, რომლებიც შეტანილია სააბონენტო წიგნებში.

4. არ დაედგათ ტელეფონები სამხედროთა ოჯახებს. ქალაქებსა და სოფლებში მათ არ გაეწიოთ არავითარი სატელეფონო მომსახურება.

/დასასრული მე-2 გვ./

## სედპ-ს ანტისაოკუპაციო აქცია

23 თებერვალს, თბილისში, კინოს სახლის წინ, დღის 12 საათზე, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო სახალხო მანიფესტაცია, რომლის წამყვანი ლოზუნგი იყო - ოკუპანტებო წაეთრიეთ საქართველოდან!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, დღიდან აქციის დანიშვნისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დაუფარავი პროპაგანდა გააჩაღა ამ საპროტესტო გამოსვლის წინააღმდეგ, რუსთაველის მოედანზე 10 ათასამდე კაცი მაინც შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ ანტიიმპერიული კოალიციის კონფერენციის მონაწილენი, რომელიც ამ დღეს მიმდინარეობდა ჩვენს დედაქალაქში, სტუმართა შორის იყვნენ ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, მოლდოვას, უკრაინის, პოლონეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის, თურქმენეთის და უზბეკეთის დელეგაციები.

მიტინგი გახსნა და მიჰყავდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრს ბ-ნ თორნიკე ფიფიას. აქციაზე მოვიდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის უმაღლესი ჩინის ოფიცრები. შეკრებილთ სიტყვით მიმართა და ოკუპანტთა ოფიციალური პოზიცია გამოთქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაციის მონაწილეთათვის გამომსვლელის სიტყვის დედააზრი აბსოლუტურად მიუღებელი იყო, მაინც გაგებით მოეკიდნენ მას. შემდეგ მიკროფონი სტუმრებს დაუთმოთ. ყველა ორატორი დიდი მოწონებით ხვდებოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გადამჭრელ და სწორ პოზიციას საოკუპაციო ჯარებისადმი მიმართებაში. მრავალ სადღეისო პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება ბ-ნმა თეიმურაზ სუმბათაშვილმა და სედპ თავმჯდომარემ ბ-ნმა ირაკლი წერეთელმა. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ჭანტურია. შეშფოთება გამოითქვა იმის შესახებ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ეროვნულ მოძრაობასთან აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგა, რის დასტურსაც "საქართველოს მხედრიონის" წინააღმდეგ გატარებული რეპრესიული ზომები წარმოადგენს. სედპ-ს თავისი სტრატეგია და ტაქტიკა აგებული აქვს მხოლოდდამხოლოდ მშვიდობიან, არაშეიარაღებულ ბრძოლაზე და არ იზიარებს "საქართველოს მხედრიონის" პოზიციას ზოგ საკითხზე, მაგამ ვერაფრით ვერ შეურიგდება თანამებრძოლთა დევნა-დაპატიმრებას. მიტინგმა მოითხოვა ბ-ნ ჯაბა იოსელიანის და ბ-ნ ზაზა ვეძხვაძის დაუყონებლივი განთავისუფლება და მათ წინააღმდეგ აღძრული საქმის სამართლიანი გამოძიება.

აქციის ხელმძღვანელობამ, მოსალოდნელი პროვოკაციების გამო, უართქვა ამიერკავკასიის სამხედრო შტაბთან გასვლაზე და დემონსტრანტები მთავრობის სახლისკენ დაიძრნენ. უზენაესი საბჭოს მომხრეებთან შეჯახების თავიდან აცილების მიზნით მიკროფონები მხატვრის სახლის აივანზე დაიდგა, მაგრამ რამდენიმე ორატორის გამოსვლის შემდეგ, დაპირისპირებულმა მხარემ პროვოკაციებს მიმართა და სიტუაციის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით ირაკლი წერეთლის წინადადებით აქციამ ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ გადაინაცვლა, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუციები და შეკრებილნი მშვიდობიანად დაიშალნენ.

P.S. იქნა წაკითხული რეზოლუციები ელცინის, ბუშის და მანფრედ ვერნერის /ნატო - ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაცია/ მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მიღებულ იქნას კანონი ლიტვის იმ მოქალაქეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ლიტვის მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებრივ ორგანიზაციებში მსახურობენ.

6. პიკის საათებში და ელექტროენერგიის უკმარისობის დროს ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს შეუწყდეთ ელექტროენერგიის მიწოდება.

7. არ გაეცეთ ბინები, ავტომანქანების სადგომები, კოლექტიური ბაღები და ნაკვეთები.

8. ოფიცერთა ოჯახები გამოსახლებულ იქნან საუწყებო ბინებიდან და საწარმოების საერთო საცხოვრებლებიდან.

9. შეწყდეს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან პენსიების გაცემა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში მომუშავე პირებზე. პენსიები მათ უნდა გადაუხადოს სსრკ თავდაცვის სამინისტრომ.

10. ტექნიკური მომსახურების სადგურებში არ გაეწიოთ მომსახურება იმ მანქანებსა და ტექნიკას, რომლებიც ამ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

11. შეწყდეს სამხედრო ნაწილებისათვის კვების პროდუქტების მიყიდვა. პროდუქტები მიეყიდოს მხოლოდ იმ სამხედრო ნაწილებს, რომლებიც ლიტვის კანონებს ემორჩილებიან /სახელშეკრულებო ფასების მიხედვით/.

12. კონტროლი გაეწიოს იმას, რომ სასამართლოებმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მედექსპერტიზის კომისიებმა და მმაჩის ბიუროებმა არავითარი ინფორმაცია არ გადასცენ სამხედრო კომისარიატებს /ეს აქამდე კეთდებოდა/.

13. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ლიტვის იმ მოქალაქეებისა და სამხედროების მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სსრკ არმიის რიგებში სამსახურზე უარისმთქმელი ახალგაზრდების დაპატიმრებაში.

14. ლიტვის ბანკებში დაიხუროს ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ანგარიშები.

15. სახლმმართველებს მიეთითოთ, რომ სასწრაფოდ შეუწყვიტონ სამხედროებსა და მათ ოჯახებს ბინის ქირის 50%-შეღავათი. ეს ფულადი სახსრები გადაეცეს თვითმმართველობებს საცხოვრებელი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მოვითხოვთ, დანიშნულ ვადებში უცხო ქვეყნის არმიის მიერ დაკავებული შენობები გადაეცეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს /სამხედრო კომისარიატები, ოფიცერთა სახლები, დივიზიების შტაბები/.

18. სასწრაფოდ შეიქმნას თავდაცვის სისტემაში თავდაცვის რაზმები, რომლებიც იბრძოლებენ იმ საოკუპაციო ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც იჭერენ იმ ლიტველ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავი აარიდეს სსრკ არმიაში სამსახურს.

მოამზადა ვაჟა ძუნელიამ

# მამულიშვილნო!

ქართველი ერის ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა და მან ყოველთვის კარგად იცოდა, რომ დამოუკიდებლობა უპირველესად მტრისაგან სამშობლოს მიწა-წყლის გათავისუფლებას ნიშნავს. ეს მარადიული ჭეშმარიტებაა, მაგრამ დღეს საქართველოში რატომღაც გაჩნდა იდეა, რომ წითელი არმია შეიძლება დროებით გამოყენებული იქნეს საქართველოს ინტერესებისათვის, რაც ცხადი ილუზიაა. არსად, არასოდეს საბჭოთა ჯარი, არავის თავისი ინტერესებისათვის არ გამოუყენებია, წითელი არმია ყოველთვის საბჭოთა იმპერიის მიზნებს ემსახურებოდა და ემსახურება ახლაც. ნუთუ 9 აპრილის შემდეგ კიდევ შეიძლება ამის კითხვის ნიშნის ქვეშ დასმა?

უკვე ცხადად გამოიკვეთა საბჭოთა იმპერიის კვლავ შენარჩუნების სცენარი: რესპუბლიკაში ცალკეულ ეროვნებებს შორის სისხლიანი შეტაკებებისათვის ფარული ხელშეწყობა და შემდეგ "ჰუმანური" წითელი არმიის "გამშველებლის" მისიის ასრულება. ჯარის სარდლობა ჩასაფრებულია, რათა ყოველი შინაური კონფლიქტი გამოყენებული იქნას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ამით გაახანგრძლივოს და გაამართლოს თავისი არსებობა საქართველოში. სხვა მისია მას არ აკისრია და არც შეუძლია შეასრულოს.

სანამ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ვიმყოფებით, ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ნამდვილ [illegible]არმატებებს ვერც ეკონომიკის, ვერც დემოგრაფიის, ვერც პოლიტიკის და სხვა სფეროში. შესაძლოა დროებით, იმპერიამ შინაურ ცხოვრებაში პატარა-პატარა თავისუფლება მოგვცეს, მაგრამ ეს წუთიერი და არასრულყოფილი იქნება. [illegible]: თუ შემოვიღებთ ეროვნულ ფულს, კრემლი უარს იტყვის ამ ფულით ვაჭრობაზე; თუ გავაუქმებთ უკანონო ავტონომიას, კრემლი ამას გაასაჩივრებს ვითომდა საერთაშორისო დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე და ა.შ. ასე, რომ ჩვენ ჩათრეული აღმოვჩნდებით "პრობლემათა მოგვარების" უნაპირო ზღვაში, საიდანაც გამოსავალს ვეღარ ვიპოვით. ამიტომ, ბრძოლა უნდა იყოს პირდაპირი და ნათელი. ჭეშმარიტება ყოველთვის მარტივია. დამოუკიდებლობის მოთხოვნით უნდა იწყებოდეს /და არა "რეფორმებით"/, რაც უპირველესად საოკუპაციო /დამპყრობი/ წითელი ჯარების ამ დამოუკიდებლობის განსაზღვრას მოითხოვს. საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით ჩვენ იურიდიულად დავადასტურებთ, რომ არ ვცნობთ მტერს და არ ვცნობთ მას "მეგობრად", სანამ იგი არ ცნობს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არ აღიარებს, რომ აქ უკანონოდაა შემოსული და უნდა წავიდეს.

ამ მიზნით უნდა განვახორციელოთ უწყვეტი და თანმიმდევრული აქციები /მიტინგები, მსვლელობები, მანიფესტაციები, გაფიცვები/ საბჭოთა იმპერიის ჯარების გაყვანის მოლაპარაკების დაწყებისათვის; ყველგან, სადაც კი შევხვდებით არმიის წარმომადგენლებს სიტყვიერად უნდა ვასხენებდეთ, რომ ისინი ოკუპანტები არიან და რომ საქართველოში იმპერიის მიზნებს იცავენ; უნდა მოვითხოვოთ მოიხსნას რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიები მათ მიმართ, გამოვუცხადოთ საბოტაჟი და ა.შ. ასე, რომ საბჭოთა ჯარისა და მისი სარდლობისათვის საქართველოში ყოფნა მორალურად აუტანელი უნდა გავხადოთ. არავითარი კომპრომისი მათ მიმართ!

9 აპრილს, ქართველი ერის გამარჯვების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მშვიდობიანი, უიარაღო ხალხი, სანთლებით ხელში და მართალი სიტყვით, საკუთარი ნებით მივიდა სამსხვერპლოზე, როცა მტერი რწმუნდება, რომ სიკვდილის მუქარით ვერ შეაშინა, იგი კბილებამდე შეიარაღებულიც კი, განიარაღებული და დამარცხებული რჩება. ჩვენი შეურიგებელი მშვიდობიანი ბრძოლით ვაიძულებთ მტერს, ბოლოს და ბოლოს ხელი აიღოს საქართველოზე.

გაუმარჯოს ჩვენს მართალ, უშიშარ და უიარაღო ბრძოლას კბილებამდე შეიარაღებული საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ.

ჩვენთან არს ქრისტე! გვიყვარდეს იგი! ჩვენ გავიმარჯვებთ!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაცია

# რა ხდება ტელერადიოკომიტეტში

1990 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ტელერადიოკომიტეტში ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამა

თქვენ იცით, რომ გვაქვს ძალზედ დაძაბული მდგომარეობა საქართველოში და ასევე დაძაბული მდგომარეობა იმ იმპერიაში, რომელშიც ჯერჯერობით ნებსით თუ უნებლიეთ ვიმყოფებით. უფრო მეტსაც გეტყვით, მოახლოებულია დიდი განსაცდელი ჩვენი ერისთვის, არავისთვის ეს საიდუმლო არ არის და მე მოვალე ვარ არ დავფარო ეს თქვენს წინაშე, გესაუბროთ ძალზედ სერიოზულად და მაქვს იმედი თქვენის მხრივ არა მარტო გაგებისა, არამედ თანადგომისაც, თანადგომისა და ერთიანი ბრძოლისა, ერთიანი ფრონტით ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში მთელმა ქართველმა ერმა, დიდმა უმრავლესობამ, გადამწყვეტმა უმრავლესობამ, დაუჭირა მხარი ჩვენს ეროვნულ პარლამენტს, ტელევიზია ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ დაუპირისპირდა ეროვნულ პარლამენტს. მე ძალზედ ვწუხვარ, რომ ამას მოგახსენებთ, მე ახლა მოგახსენებთ თუ რატომ ვამბობ ამას. მართალია, მთელ ტელევიზიას ეს არ ეხება, ყველა თანამრომელს ეს არ ეხება, მართალია ამაში შეიძლება ჩვენც ვერ მოვზომეთ ზოგი რამ, სწორად ვერ შევაფასეთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ამიტომ მე მოსული ვარ იმისთვის, რომ ეს ყოველივე იქნეს რეგულირებული, ჩვენი პოზიციები შევათანხმოთ და გადავდგათ სერიოზული ნაბიჯები მომავლისაკენ. ტელევიზია არის დიდი იარაღი ჩვენს ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც გრძელდება [illegible] შორის და მე პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვერ დავუშვებთ ქაოსსა და [illegible] ამ დაწესებულებაში, ვერ დავუშვებთ. ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ ქუჩიდან მოსული ადამიანები, რეციდივისტები, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები ერეოდნენ ტელევიზიის მუშაობაში და თავიანთი ნების მიხედვით წარმართავდნენ მას, ამას ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. არიან ცალკეული პირები, რომელთაც ეს ეოცნებებათ, თქვენთან. მე მათ ვურჩევ, რომ ეს ილუზიები ნულარ ექნებათ. მე ვგულისხმობ იმ ცრუ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც რეციდივისტებმა, დამნაშავეთა სამყარომ გადაიბირა, უფრო სწორად დაიმორჩილა, დაიქვემდებარა. აიძულეს, რომ ემსახურონ მათ ინტერესებს, პირდაპირი გაგებით, პირდაპირი გაგებით, იარაღის ძალით ისინი ჩააყენეს მათ სამსახურში, ისინი უკვე გამოდიან როგორც შირმა ამ დანაშაულებრივი სამყაროსი და აი ეს ე.წ. ვითომ პოლიტიკური პარტიები ცდილობენ ტელევიზიის ხელში ჩაგდებას და ამ ტელევიზიის ეკრანიდან ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. კატეგორიულად გეუბნებით ამთავითვე ჩვენ ამას არ დავუშვებთ, ტელევიზიის გაუქმებაც რომ მოგვიწიოს მთლიანად, სრული პასუხისმგებლობით. მიუხედავად იმისა, რომ აქ ზის ბევრი ადამიანი ვისაც მე უდიდეს პატივს ვცემ, მიყვარს, ყოველნაირად ვენდობი, მაგრამ მომიტევეთ მე პირდაპირობა, მე კრემლის იმპერიას არ ვერიდებოდი და ამიტომ არავის არ მოვერიდები, გიმეორებთ, თუ არ დაედება ზღვარი კრიმინალების თარეშს, კრიმინალების მიერ ეკრანის გამოყენებას ეროვნული პარლამენტის წინააღმდეგ, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, ჩვენ ტელევიზიას გავაუქმებთ. ჩვენ სავსებით მზად ვართ ამისთვის, ყოველნაირად და შევქმნით ახალ ტელევიზიას არც ამას დაგიმალავთ და ამის ძალებიც გაგვაჩნია და შევქმნით ისეთ სამსახურს სულაც, რომ ერთადერთმა სამსახურმა იარსებოს, მაინც გვირჩევნია ჩვენ, ყოველდღიურად ეკრანის წინაშე მთელი ქართველი ერის შიშით, თუნდაც ამიტომ მეგობრებო. ჩვენ მოგვდის უამრავი პროტესტები, უამრავი სიგნალები საზოგადოებისა, მთელი ქართველი ერისა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს დაედოს ზღვარი ამ ანარქიას და ამ უკანონობას. პირდაპირ მოგახსენებთ, განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა, ორჯერ მკვლელობაზე, ქურდობაზე ნასამართლევმა ჯაბა იოსელიანმა ჩაიგდო ხელში კონგრესის პარტიები. მან ისინი დაიქვემდებარა, იგი მათ ამოქმედებს თავისი მიზნების შესაბამისად, მან ისინი თავის მარიონეტებად აქცია, ნილბავს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას მთელს საქართველოში, ტერორს, ყაჩაღობას, ყოველგვარ უკეთურობას და ამჟამად გადავიდა პირდაპირ იერიშზე ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ და ტელევიზიის საშუალებით ცდილობს მოიტანოს ჩვენზე იერიში. გიცხადებთ ყველას კატეგორიულად, ვინც ალიანსში აღმოჩნდება ამ პიროვნებებთან, გაგაიგივებთ მათთან, სრული სერიოზულობით გეუბნებით ყველა თვალსაზრისით, როგორც მორალური ისე იურიდიული თვალსაზრისით. ამას ჩვენ აღარ დავუშვებთ ბატონებო, არავითარ შემთხვევაში აღარ დავუშვებთ. რეციდივისტების და კრიმინალების ადგილი სადაც არის ყველამ იცის, ტელევიზია და პრესა არ არის მათი სათარეშო და მათი დამქაშების, ყველამ გაიგონოს ეს კარგად, მე ძალიან გთხოვთ. გუშინწინ მათ დაარბიეს მიტინგი, სცემეს დედები, რომლებიც დღესაც შიმშილობენ და გამობრძანდა ვაჟბატონი, თქვენი თანამშრომელი და მას კიდევ ჰყოფნის სითავხედე და აქ ბრძანდება და ეს პროტესტი გამოაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ეს ამხილა ტელევიზიამ, სირცხვილი მას. იარაღზე ქართველმა კაცმა სული არ უნდა გაჰყიდოს. იარაღით იყიდეს ასეთი პიროვნებები, ეს არის სირცხვილი, თავის მოჭრა. რა არის ეს იარაღი ბოლოს და ბოლოს, მობრძანდით ჩვენთან, ნებართვას მოგცემთ და ატარონ იარაღი, იარაღის გულისთვის უნდა მიეყიდოთ საქართველოს მტრებს? არა გრცხვენიათ? ტერორი უნდა აღიკვეთოს საქართველოში, მთელი მოსახლეობა ფეხზეა დამდგარი, ან გაგვანთავისუფლეთ ამ ტერორისტებისაგან, ან ჩვენ გამოვდივართ ქუჩებში, გამოვდივართ ყველგან და მოვითხოვთ ამას. კი, ამას მოითხოვს საქართველოს მოსახლეობა ჩვენგან. ამოგვიდექით ამაში მხარში, მე გთხოვთ სერიოზულად ყველას, რომ მოვსპოთ ტერორიზმი, მოვსპოთ დამნაშავეობა და ტერორისტების ლიდერების თარეში შეწყდეს ტელევიზიაში, მე კატეგორიულად გთხოვთ ამას ყველას. თქვენ არასოდეს არ გინახივართ მე ასე წყობიდან გამოსული, ხომ სწორია, იმიტომ, რომ მე მაიძულებს ამას ობიექტური გარემოებები. ჩვენ აღარ შეგვიძლია მეტის მოთმენა. ყოველდღე ათობით და ასობით ადამიანს იტაცებენ საქართველოში, იცით თუ არა ეს თქვენ. ათობით და ასობით ოჯახი ზის და ქვითინებს შვილის, დედის ან მამის მოტაცებაზე. აი ამ ვაჟბატონებს კი თქვენ ათარეშებთ ტელევიზიით, ვინც ამას ჩადის. დროა მოვეგოთ გონს მეგობრებო, დროა მოვეგოთ გონს. [illegible] ამავე დროს [illegible] ვიტყვი, რომ ჩვენ ამის წინააღმდეგ გვსურდა ზომების მიღება, მეტი არაფერი არ გვქონდა განზრახული. მეგობრებო, არცერთი თქვენგანის წინააღმდეგ არაფერი არ გვქონდა განზრახული. მოვიყვანეთ ადამიანი, რომელიც მათ ფიზიკურად აღუდგებოდა წინ და დავსვით აქ. თქვენ კი ეს გეგონათ თქვენი მტერი და გამოცვივდით. იმან შეიძლება გაცხარებაში რაღაც თქვა, აი შენ მოგხსნი, შენ მოგხსნი, რისი მომხსნელია, ვის მოხსნას გაბედავს საქართველოში ვინმე ჩემს გარეშე, ვინ გაბედავს რამეს, ერთი კაცის მოხსნას ვინ გაბედავს. მან უბრალოდ გაცხარების ჟამს რაღაც ზედმეტი შეიძლება წამოისროლა და ამის გულისთვის ეს უნდა გაგეკეთებინათ მეგობრებო და ამ დღეში უნდა ჩაგეგდეთ მე, ეხლა რას იზამენ სხვა დაწესებულებები, აი გამოუგდეს ამას გამოგზავნილი დირექტორი, ეხლა ხომ გამომიგდებენ მე კიდევ სხვაგან კიდევ მინისტრებს. არ შეიძლება მეგობრებო, ცოტა ამომიდექით კაცო მხარში, ცოტა გამიგეთ ბოლოს და ბოლოს, გეუბნებით ვართ საფრთხეში, იმ იმპერიამ გგონიათ გადაყლაპა ყველაფერი, ის სილა, რომელიც ჩვენ მას გავაწანით, გგონიათ მოინელა, არ არის საქმე ასე მეგობრებო, ხოდა თუ ჩვენ ეხლა ერთად არ ვიყავით, ეხლა თუ ჩვენ ვიომეთ, ჩვენ წავაგებთ, აი გეუბნებით, რომ თქვენც წააგებთ და ჩვენც წავაგებთ. აი ეს ესე იქნება. დაუშვებელია ასეთი ურთიერთდამოკიდებულება, მართალია მე იმ კაცს ძალიან ვეჩხუბე, ის არ არის ცუდი ადამიანი, მაგრამ გამოუცდელია და ცოტა ახალგაზრდაა და რაღაც მოუვიდა ცოტა ისე, შეიძლება ვინმესაწყენინა, მაგრამ ამისთვის შეიძლება კაცის გაგდება მეგობრებო?

წამოძახილი დარბაზიდან: ჩვენ თვითონ აგვარჩევინეთ თავმჯდომარე!

ჯერჯერობით ეს შეუძლებელია, რადგან თქვენ შეიძლება ბრწყინვალე ადამიანი აირჩიოთ, მაგრამ ის ამ ბანდას ვერ აღუდგეს წინ... აქ ლაპარაკია იმაზე, რომ აქ ძალზედ პრინციპული ადამიანია საჭირო. ავთო იმნაძე ხომ ანგელოზია, ხომ გადასარევი პიროვნება, მაგრამ ავთო იმნაძე გუშინ გაიქცა აქედან გენაცვალე, გაიქცა, მე აღარ მინდა აქ ყოფნაო, კაცო. შანტაჟს და ტერორს ხომ ყველა ვერ უძლებს გენაცვალე, ყველა ვერ უძლებს. აი ავთო გაიქცა და მე მითხრა, მე იქ ფეხის მიმდგმელი არა ვარო, 24 საათი ურეკავენ: შუბლს გაგიხვრიტავ, თავს გაგიხვრიტავ, მუცელს გაგიხვრიტავ, ვინ არის ამის გამძლები და თქვენ, რომ დასვამთ იმას არ გაუკეთებენ ამას, გგონიათ?.. მოტაცებენ, ქუჩაში დაუხვდებიან. იტაცებენ ხალხს როგორც გინახავს იმას, აი ასეთი მდგომარეობაა, გაიგეთ ხალხო, გაიგეთ გენაცვალე ასეთი მდგომარეობაა... აქ პრინციპული მი არის, ფაქტიურად, სანამ ჩვენ ამ ხალხს არ ავლაგმავთ და გეუბნებით, რომ ავლაგმავთ ძალიან მალე, იმიტომ რომ მე პოლიტიკურ იმეებთან არა მაქვს საქმე, ესენი არ არიან პოლიტიკური ოპონენტები, გენაცვალე? ესენი მოვიდნენ, მოდიან და ვისი ავტორიტეტით მელაპარაკებიან მე? სოლჟენიცინის და სახაროვის ავტორიტეტით და დისიდენტების ავტორიტეტით ვლაპარაკობდით მე და კოსტავა კაცო და ესენი მოვიდნენ და რეციდივისტების ავტორიტეტით მელაპარაკებიან. აი ჯაბა დგას ჩვენს გვერდით, ახლავე დამიჯერე რასაც გეტყვი თორემ ეს ჯაბა შემდეგ შუბლს გაგიხვრიტავსო, აი ასე მელაპარაკება მე ჭანტურია და წერეთელი. ეს პოლიტიკოსები არიან? ეს პოლიტიკური მოღვაწეები არიან? გეკითხებით, მე თქვენ, ჰოდა მერე აი ამათ ხელში ესე ვარ, რომ მოდიან ყოველდღე შტურმით ამ ტელევიზიაზე, თქვენ რა პასუხს აძლევთ, იმ პასუხს აძლევთ, რომ ათარეშებთ ამათ ეკრანზე, როგორ, გენაცვალე, ესე არ გამოვა, დიახ, მე გეუბნებით, კატეგორიულად გეუბნებით, რომ ეს ამბავი საქართველოში უნდა შეწყდეს, ან ტელევიზია უნდა გაუქმდეს. აი ამ ორში ერთი უნდა მოხდეს, აი ასე ბატონო, აბა როდემდე ვუყუროთ ათ. საავადმყოფოებიდან მირეკავენ, საავადმყოფოებიდან ავადმყოფები, გუშინ რომ დაინახეთ ამათი სახე ეკრანზე ერთი ცუდად გახდა, მეორე გაიყვანეს რეანიმაციაში, მესამე იქ გაიყვანეს, მეოთხე იქ გაიყვანეს, აღარ შეგვიძლია ამათი ყურება, მოგვაშორეთ ეს ხალხი და თქვენ კიდევ ტელევიზიით აჩვენებთ ამათ ხალხს. აი ასეთი მდგომარეობაა გენაცვალე და ცოტა დავფიქრდეთ, დავფიქრდეთ ცოტა...

ეხლა მე თუ მიჯერებთ საქმე რაშია იცით, საქმე იმაშია, რომ თქვენ შეიძლება მოგეჩვენათ, რომ ის კაცი რამეს გაბედავდა ჩემს გარეშე, ვერაფერსაც ვერ გაბედავს, ის იმუშავებს ისე როგორც ეს ყოველ თქვენგანს უნდა, აი დამიჯერეთ, ის კოლექტივის გარეშე არაფერს არ გააკეთებს, ის ყველაფერს შეათანხმებს საერთო სულისკვეთებას

დასასრული მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უნდა ცოტა ხანი იმუშაოს და თუ დაინახეთ, რომ არ ვარგა, მერე უთხარით არ გვინდა ძმაო შენი მუშაობა და გავუშვათ აქედან. აი ეს არის გამოსავალი, გენაცვალე.

ის არის მოყვანილი არა იმისთვის, რომ თქვენ დაგიპირისპირდეთ არამედ იმისთვის, რომ დაუპირისპირდეს აი იმ ბანდას, რომელიც აქ მოდის და ყოველნაირად ცდილობს ტელევიზიის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას, გესმით ეხლა? არ გესმით?.. არავითარი სხვა მიზანი იმის აქ მოყვანის არ გვქონდა მეგობრებო, დამიჯერეთ და მერწმუნეთ, არავითარი სხვა მიზანი, აბსოლუტურად სხვა მიზანი არ გვქონდა, აი ეს არის ჩემი სათქმელი და დანარჩენი თქვენ იცით და გახსოვდეთ, რომ რაც ჩვენ შევედით ხელისუფლებაში არ გვაცდიან არაფერს, გენაცვალე. აი ყოველდღე იმას ვფიქრობთ, რომ თქვენი ოჯახები იყოს სავსე, რომ თქვენ არ გაგიჭირდეთ, რომ თქვენ იაროთ ქუჩაში მშვიდად, ამაზე ვიმუშაო მე თუ ყაჩაღებს და ბანდიტებს ვსდიო როდის შეიჭრებიან ტელევიზიაში, აი გეკითხებით მე თქვენ, კაცო, გეკითხებით არ უნდა დამაცადოთ მუშაობა კაცო, თქვენთვის მინდა მუშაობა, ვისთვის მინდა მუშაობა? მე ჩემი თავისთვის ვიბრძვი? მე მაკლია, მაკლდა რამე ოდესმე? ამისთვის ვიბრძოდი? ჩემი კეთილდღეობისთვის ვიბრძოდი მე? ამისთვის გავიწვალე და გავიმალლე ცხოვრება? ცოტა გაიაზრეთ თქვენც რა კაცო, პოდა შექმენით ისე, რომ ვიმუშაო ისევ თქვენთვის, გესმით! შეგვიწყვეთ ხელი, რომ აქ იყვეს წესრიგი და დისციპლინა აი ამ გაგებით გესმით? აი აქ იმას საერთოდ არ ჩავაყოფინებ ცხვირს არაფერში, არაფერში არ ჩავაყოფინებთ. ჩემს ხელშია, რასაც მე ვიტყვი, რასაც მე ვუბრძანებ... ჩემი კარი, ყველა თქვენთაგანისთვის, ვინც აქ ზიხართ... აი ვინც აქ დგახართ და ზიხართ ჩემი კარი ჩყველასთვის არის ღია, აბსოლუტურად ყველასთვის. აი აგერ ჩემი თანაშემწეები, ჩემი მოადგილეები, მეგობრებო და ყველაფერზე ესენი არიან პასუხისმგებლები. ჩემი კარი, თემურ ქორიძის კარი, ნებისმიერი კომისიის, ნებისმიერი პრეტენზიისთვის ყოველთვის ღია იქნება და ყოველთვის ყველაფერს გავითვალისწინებთ, იმიტომ, რომ მე არ მინდა ეს ერთიანობა დაიშალოს, მე არ მინდა იყოს აქ რაღაც დაპირისპირება ან გაუგებრობა, ხოდა შემიწყვეთ ამაში ხელი, კაცო, იფიქრეთ დამიჯერეთ ცოტა ხანი ეს ასეა საჭირო, ცოტა ხანი მაინც, როცა ჩვენ ამას აღმოვფხვრით, ამის მიზეზებს, დამიჯერეთ, რომ ყველაფერი სულ სხვანაირად იქნება...

აი, კითხეთ ზაზას მაშინ და ვაჟკაცურად თქვი ზაზა, ძმურად თქვი, კეთილშობილი კაცია, კარგი კაცია ავთო, მაგრამ ესენი არიან ბანდიტები და ამათ უნდა კაცი, რომელიც მაგათ თავით დაეჯახება, გაიგეთ რა, ასეა, გაიგეთ. არ არის სხვანაირად საქმე, არა. კაი ბიჭია, კაი ვაჟკაცია, მაგრამ ყუმბარას რომ მოუღერებს, იარაღს, რომ დაადებს თავზე შეიძლება თქვას, რომ აი დამანებეთ თავი აღარც შენი ტელევიზია მინდა... და იმას რომ მოუღერებს ეს ათი ყუმბარით მეტით ააფეთქებს იმას, იცით თუ არა თქვენ, აი ამაშია საქმე...

შემოიჭრებიან, შემოცვივდებიან, სულ 24 საათი მილიცია ხომ არ მეყოლება აქ, ის მილიციაც ხომ ცოდოა, ისინიც ქართველებია, ისინიც ადამიანებია...

იმიტომ, გენაცვალე, რომ ყოველწუთს აპირებენ აქ შემოჭრას, ყოველწუთში აპირებენ თავიანთი შიზოფრენული განცხადებების კეთებას ე.ი. მოდის ადამიანი, კაცო, მესამე კურსიდან გარიცხული ინსტიტუტიდან მოუსწრებლობისთვის, მოუსწრებლობისთვის და ჭკუას ასწავლის საქართველოს პარლამენტს. ახლა შენ გიბრძანებ, შემოიღე ეს კანონი, თორემ ვაცხადებ შიმშილობას, ეს რა ლოგიკაა კაცო. იმის არ იყოს, მივლენ ჩამრიცხეთ ეხლა სამედიცინოში, თორემ ვაცხადებ შიმშილობას, ოროსანი მოდის და შიმშილობით იმუქრება, ეს არის პოლიტიკაში ოროსანი, ამას ვერ ვასწავლე მე ანბანი. ჩემი ცუდი მოწაფე, შარშან აპარტეიდი, არ იცოდა რას ნიშნავს, სიტყვა აპარტეიდი, ბეჟიცებით, გამოვიდა მიტინგზე, და რა არის ეს აპარტეიდა, ზვიადიმ თქვა და არ ვიციო. და ახლა ასეთი კაცი მოდის დღეს და მიბრძანებს ახლა შეიტანე ეს კანონი, ეხლა შეიტანე ეს, თორემ ვაცხადებ შიმშილობას. ეს ხალხია კაცო, ეს ნორმალური ხალხია ფსიქიკურად? გეკითხებით მე თქვენ. თუ საგიჟეთია ეს ტელევიზია გამოაკარით ბატონო აბრა - ფსიქიატრიული საავადმყოფოს სატელევიზიო განყოფილება და მოაწყვეთ აქ დიდი თარეში, მოაწყვეთ, კი ბატონო. გეუბნებით ასეთი შთაბეჭდილება აქვს ხალხს, ყოველ საღამოს გიჟები, რა არის კაცო, კონცერტს მოველით, რაღაც ლექსს მოველით, პოეზიას მოველით და გიჟებით გვიმასპინძლდებით, რა არის ეს, აღარ არის უკვე მოთმინება ხალხის, კაცო.

დარბაზიდან: ბატონო ზვიად, ერთი სათხოვარი მაქვს, ჩვენ მხარს ვუჭერთ ეროვნულ პარლამენტს, ჩვენ მრგვალი მაგიდის მომხრეები ვართ, მაგრამ რა აუცილებელია მაინცდამაინც ის კვანტალიანი იყოს... რაკი ასეთი წინააღმდეგობა არის, ნუთუ მრგვალ მაგიდაში არ არის მეორე კანდიდატურა?..

რაც თქვენ იმ კაცში არ მოგწონთ, აი მე ვიღებ ჩემს თავზე, მე ვიღებ, კაცო, მე რომელსაც, მენდობით, მე თუ არ მენდობით, გეკითხებით, მენდობით? რაც თქვენ იმ კაცში არ მოგწონთ იმას მე ვიღებ ჩემს თავზე, იმ მხარეს მე მაგას მოვხსნი, გესმით, აი დამიჯერეთ, დამიჯერეთ. მართალია ის ცოტა უხეშია, ცოტა შეიძლება ზრდილობაც ღალატობს, მე ყველაფერ ამას მოვხსნი. რა გინდა კაცო, იქნება როგორც აბრეშუმი, რა გინდათ მეტი. არ გჯერათ? არ გჯერათ და გააგდეთ მერე რა უნდა, თქვენს ხელში არ არის? არ მოგეწონება და გააგდე, რა პრინციპია ეს კაცო, ამის გულისთვის ჩვენ ეხლა უნდა წავიჩხუბოთ? ამის გულისთვის, ჩვენ, რომლებმაც რა გამოვიარეთ აბა გაიხედეთ, აი რა გამოვიარეთ, ჩვენ ერთად გამოვიარეთ ის კაცო, ერთად არ ვიბრძოდით? მე რომ მოვდიოდი აქ და რა ომი იყო და რა ამბები იყო, თქვენ არ მიწყობდით ხელს, თქვენ შიგნით არ აწყობდით გაფიცვებს და მიტინგებს ჩემს მხარდასაჭერად? მე რომ გარეთ ვაწყობდი თქვენ შიგნით არ აწყობდით? დაგავიწყდათ ეს ყველაფერი კაცო? ხოდა მერე მე გღალატებთ? მე გღალატებთ? მაშინ არ იყო საგიჟეთი და ეხლა გაგიჟდნენ, ეხლა აიჩემეს, რომ გინდა თუ არა გამოაცხადე საქართველო ოკუპირებულ... კაცო გამოვაცხადე ვეუბნები, აი კონსტიტუცია, გადავუშალე კონსტიტუცია, პირველივე გვერდზე სწერია საქართველო არის ოკუპირებული, ანექსირებული, რომ დგას საოკუპაციო ჯარი, არა მაგი არაო, მე მინდა და კიდე გამოეცი კანონიო, ასე გიჟები ლაპარაკობენ, გესმის? რომ ამბობ გეუბნება კიდე გაიმეორე, იტყვი, კიდე გაიმეორე, ეს უკვე არანორმალურობაა კაცო... ამისთანა ხალხის ჭკუაზე ვიარო მე ეხლა, როგორ მირჩევთ და რომ არ ვუჯერებ, მათ ბრძანებას, რომ არ ვასრულებ, არ ასრულებო. მომიყვანა ახლა რეციდივისტები, წინათ რომ იცოდნენ ბიჭებმა ბიჭების მოყვანა ქურდების და ყაჩაღების შეშინება, ასე მოყავს და მაშინებს, ის კი ავიწყდება, რომ მე მაგათზე უარესი ვარ თუ გაჭირდა საქმე, ეს ავიწყდებათ მაგათ გესმის და არც მაგაში ჩამოვრჩები თუ გაჭირდა საქმე. ის გაფიცვებიც მე ვასწავლე მაგათ, ის შიმშილობაც მე ვასწავლე, ის პიკეტიც მე ვასწავლე და ყველაფერი მე ვასწავლე. ეს ავიწყდებათ მაგათ გესმის და ვერც მაგაში ვერ მომერევიან, ვერაფერში ვერ მომერევიან, ფიზიკურადაც ვერ მომერევიან, რომ მიდგეს საქმე, გესმის? აი ასეა და ამიტომ ეს ხალხია ცოდვა, მე მაგისთანასთვის გამიძლია მეგობრებო? მე რომ გამიძლია თქვენ ერთად აღებული ვერ გაუძლებთ იმას, მაგრამ მე ხალხი მეცოდება, დაიღალა ეს ხალხი.

რეპლიკა დარბაზიდან: ბატონო ზვიად ეს ემოციურობა გასაგებია, რამეთუ ქართველი ხალხი სამხრეთელი ხალხია და ეს ემოციურობა გასაგებია, ტელევიზიის თანამშრომელი იქნება თუ გარეშე პირი. მე მინდა, რომ, როდესაც ახალ თავმჯდომარესთან იყო შეხვედრა გამომკვეთა ის, რომ მას პროგრამა იმისა თუ რა უნდა გაეკეთებინა ტელევიზიაში და სამოქმედო პროგრამა მას გამოკვეთილი არ ჰქონდა. თუ ბატონი კვანტალიანი მოიტანს იმ პროგრამას, რომელიც ტელევიზიის შემოქმედებით ჯგუფს მოეწონება, შეიძლება ის ნახევარი, რომელიც წინააღმდეგია გადავიდეს მომხრეთა მხარეზე.

ზ. გ. ასე, რომ აი ვთქვათ მოიტანოს პროგრამა არა... აი ის ნაწილი... ნუ, გამოთქვა იმ კაცმა თავისი აზრი, სხვამაც გამოთქვას, მე აქ ძალით არაფერი არ მინდა, მე იმას ძალით აქ არ მოვიყვან და არ დავიწყებ ძალისმიერ იმას... არა, შემიძლია მე ესე, მაგრამ არ გავაკეთებ ამას, ვისთან, თქვენთან გავაკეთო? თქვენს წინააღმდეგ გავაკეთო რამე? და თქვენ დაგაძალოთ რამე კაცო? არ გავაკეთებ უბრალოდ მე მინდა, რომ თქვენ გამიგოთ, ჩემი მდგომარეობა გამიგოთ, ჩვენი სიტუაცია პარლამენტის გაიგოთ, გესმით, და თქვენ მოილაპარაკოთ, თქვენ შეთანხმდეთ და თუ თქვენგან იქნება იმ შემთხვევაში თორემ მე მართლა ის კი არა ვარ კაცო. აი ასე ვაყენებ მე საკითხს კაცო. თქვენ უნდა გაიგოთ ჩვენი მდგომარეობა, ვართ ასეთ მდგომარეობაში, ვერ ვიცლით ვერაფრისთვის, ვერ ვიცლით, ქვეყნის სასიკეთო საქმეები ველარ გაგვიკეთებია. ამ დროს ყველაფერი მისახედია, მე ეხლა ეკონომიკას უნდა დავსდევდე, მაღაზიებს უნდა დავდევდე, ბაზებს უნდა დავდევდე, რა ხდება, რომ იცოდეთ ხალხნო, თუ ასე გაგრძელდა დავრჩებით ყველა მშიერი კაცო. დამაცადეთ, რომ ამას მივხედო. თუ მე არ მოვკიდე ხელი არაფერი არ გამოდის, გაიგეთ. და უნდა დავადგე თავზე, გამიგეთ. პოდა აი ამიტომ მომხსენით ეს ტელევიზიის ტვირთი. ამ ტელევიზიამ წაილო მთელი ჩემი დრო და იმ სასიკეთო საქმეებს ველარ ვაკეთებთ, გესმით? და ამიტომ მოდით გავაკეთოთ ისე, რომ უსაფრთხოება იყოს ტელევიზიაში, რომ ვიღაც არ შემოიჭრას ავტომატით და არ გამოჩნდეს ეკრანზე და ავტომატი არ ესროლოს ეკრანიდან ხალხს.

როგორც შემდგომ ბატონ ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა უზენაეს საბჭოს გადაწყვეტილი აქვს საქართველოს ტელერადიოკომიტეტი კულტურის სამინისტროს დაუქვემდებაროს და ტელევიზიას კურირება გაუწიოს ბატონმა ნოდარ წულეისკირმა.

# რას წერდა ქართული საბჭოთა პრესა

## მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ანუ ხულიგნები "მორწმუნეთა" როლში

ნათქვამია: მცხეთააო საქართველოს ფუძე.

მართლაც.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოიხსენება იგი ქართულ ლეგენდებსა და თქმულებებში.

რაც მთავარია:

აქ შეიქმნა პირველი ქართული ანბანი,

აქ დაირწა იბერიის სახელმწიფოს აკვანი.

აქ ეზიარა ქართველი ერი ქრისტიანობას – იმდროისათვის უდავოდ პროგრესულ მოვლენას.

აშენდა ჯვარი, სვეტიცხოველი, შიომღვიმე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მწიგნობრობის განვითარებაში, საერთოდ, ერის კულტურულ საგანძურში.

ჟამთა სიავემ ბევრჯერ დაანგრია და მიწასთან გაასწორა მცხეთა, მაგრამ ჩვენმა დრომ, დღევანდელობამ მზრუნველობით მოჰკიდა ხელი ყოველივე იმის აღდგენას, რაც ხალხის მარჯვენას და ხალხის სიბრძნეს შეუქმნია. გვაგონდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები სვეტიცხოვლის შესახებ: "სარკინოზი აბულ-ყასიმი ეძგერა მას პირველად, შემუსრა და აქლემთა თავლად გახადა იგი, აღადგინეს, შემდგომ ამისა, სელჯუკმა ალფ-ასლანმა იავარჰყო იგი, კვლავ აღადგინეს და თემურ-ლენგმა დაანგრია ისევე, შაჰ-თამაზმა და შაჰ-აბაზმა მილეწეს მრავალგზის.

მერმე ის იყო, მთელი საუკუნე აწვიმდა ტაძარს, ახალ დროშიაც კაცს არ მოჰგონებია მისი შეკეთება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ვენაცვალე მას, გადაახურვინა იგი წლეულს და გალავნის ქონგურები შეაკეთეს".

რამდენ ისტორიულ ძეგლს დაუბრუნდა ძველი ელფერი, მიეცა ახალი სიცოცხლე; რამდენი დიდი საქმე გაკეთდა მცხეთაში ამ ბოლო წლების მანძილზე პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერითა და მზრუნველობით, რომ უძველესი ისტორიის ქალაქი მუზეუმ-ქალაქად ქცეულიყო.

მცხეთაში მხოლოდ სამუზეუმო განწყობა როდია.

მტკიცდება რაიონის ეკონომიკა, ყოველდღე ახალ წარმატებებს იმკიან სოფლის მშრომელები, სამრეწველო საწარმოების კოლექტივები. ჯვრის გადასახედიდან თვალს ახარებს მუზეუმ-ქალაქის ფარგლებს გარეთ მშენებარე მცხეთის ახალი საწარმოების ცისკენ ალანძული ხარაჩოები. მაღლდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კულტურული მომსახურების დონე.

ეს ნახა ყველამ, ვინც პატივი დაგვდო და 11 ოქტომბერს გვეწვია მცხეთობაზე, რომელიც წელს მესამედ ვიზეიმეთ. ეს იყო ნამდვილად სახალხო დღესასწაული, ბარაქიანი შრომის, უხვი მოსავლის, კარგი განწყობის, ძმობისა და მეგობრობის ხალასი ზეიმი.

მადლობა ყველას – თითოეულ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკს, ჩვენს სახელოვან მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საამაყო ახალგაზრდობას.

არიან ვაი-ადამიანებიც, რომელთაც, როგორც იტყვიან, არაფერი სწამთ ამ ქვეყნად, ამ ქვეყნის ყველა სიკეთით კი სარგებლობენ და მაინც უმადურები დაიარებიან. ჩვენი წინსვლა აცოფებთ და არევ-დარევის შემოტანას ცდილობენ ყოველდღიურ ყოფაში.

სათქმელიც ამან მოგვიზღვავა.

გასულ გაზაფხულს თბილისიდან ჩამოვიდა ერთი ჯგუფი – მეტწილად ახალგაზრდები იყვნენ. მყუდროება დაგვირღვიეს. არა მხოლოდ მცხეთელების, ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის, სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრების გაოცება გამოიწვიეს.

ყოველგვარი ეთიკის, ტაქტის გარეშე შეილაღნენ სვეტიცხოვლის ტაძარში, საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობის ნიღბით უსიამოვნო ფორიაქი და აურზაური ატეხეს. შესულიყვნენ და ელოცათ, რამდენიც სურდათ, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ეს ჯგუფი აქ რაიმეს რწმენამ კი არა, სწორედ ურწმუნოებამ მოიყვანა. მათ ეკლესიის ეზოს თეატრონად, თავგასულობის არენად გამოყენება მოისურვეს.

სამარცხვინო "სპექტაკლი" დადგეს...

წესრიგისაკენ მოწოდება აინუნშიაც არ ჩაუგდიათ, არც საზოგადოების წარმომადგენლების, არც ეკლესიის მსახურთათვის გაუწევიათ ანგარიში.

უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთს უშვერი სიტყვებითაც კი მიმართეს, ლანძღვა დაუწყეს. შეურაცხყოფა მიაყენეს, რისთვისაც, საქმე საქმეზე რომ მისულიყო, ზოგიერთებს სასჯელად თავისუფლების აღკვეთაც არ ასცდებოდათ. ამ სცენის მთავარი "გმირები" იყვნენ ზვიად გამსახურდია და მისი ახალგაზრდა ამქრები თამარ ჩხეიძე, ნანა კაკაბაძე, მარინე კოშკაძე, სამსონ ორჯონიკიძე, გიორგი კერვალიშვილი, მარინე ბაღდავაძე და სხვები.

ჩვენი დაუპატიჟებელი სტუმრები კი ისე იქცეოდნენ, თითქოს ეს ადგილები მათი პირადი სამემკვიდრო იყო, ხოლო ჩვენ, ყველა დანარჩენს, დიდ ვალს გვდებდნენ, აქ ყოფნის ნებას რომ გვაძლევდნენ.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

მაშინ განგაში არ აგვიტეხია.

აკი ვთქვით, მეტწილად ახალგაზრდები იყვნენო.

და ეს გავითვალისწინეთ პირველ რიგში, მოვითმინეთ შეურაცხყოფა.

სვეტიცხოვლის ეზოში შეიკრიბნენ, სალაყბო მოაწყეს, რაღაც დოკუმენტს აკოწიწებდნენ, თავი გამომწვევად ეჭირათ, ქედმაღლობდნენ, ქვეყნის ბატონ-პატრონებად მოჰქონდათ თავი.

ვერ გავისტუმრეთ მშვიდობიანად დაუპატიჟებელი სტუმრები.

არც შეგონებამ გაჭრა, არც თხოვნამ.

გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, – მუქარით აგვიკლეს.

მუქარას მოაყოლეს უწმაწური სიტყვები, პროვოკაციები, აშკარა ხულიგნობა, სახელმწიფო მანქანების ჩაწიხლვა. წესრიგის დასაცავად შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებიც მოვიდნენ, მაგრამ "მორწმუნე" ხულიგნები არც მათ დაემორჩილნენ, უფრო მეტიც, მილიციის მუშაკებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და იმდენად გათავხედდნენ, რომ დასახმარებლად თბილისის მილიციის თანამშრომლების ჩამოსვლა შეიქმნა აუცილებელი.

– წესრიგის დამცველთა შენიშვნა ვერ იგუესო, – ჩურჩულებდნენ ტაძრის გვერდით მცხოვრებნი, – უკმეხად მოექცნენო მილიციის მუშაკს...

– რა დავაშავეთ ასეთი, რომ ასე გვლანძღეს და გვთათხეს. ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენეს იმის პასუხად, რომ წესრიგისაკენ მოვუწოდეთ, – განაცხადა ახალგაზრდა ოფიცერმა თემურ ბაჯაძემ, – მეც მისწავლია, ურიგო მშობლები როდი მყავს, ან ასე მოექცეოდნენ საკუთარ ძმას? თუმცა ასეთებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი...

სიმწრისაგან ცრემლები მოსდიოდა შეურაცხყოფილ უბნის ინსპექტორ ვანო ლაბაურს.

ერთ-ერთ მუშაკს სამხრეებიც ჩამოახიეს.

– რადაო, კაცო – შეშფოთებული გაიძახოდა თეთრწვერა ბერიკაცი, – რად ერჩით ამ დამაშვრალ ხალხსა, არ იცით, ეგება, ხან თქვენისთანა ოხრებს დასდევენ, ხან კიდევ რთველში შველიან სოფლის მშრომელებსა, თქვენ კიდევ აყალ-მაყალს სტეხთ საჯაროდა, ვითომ რადაო, რადა?..

ეს იყო ხმა ერისა, ხალხის წუხილი და გულისთქმა.

ზრდილობის, თავმდაბლობის, წესიერების მაგალითის ნაცვლად რას სთავაზობდნენ

დასასრული მე-4 გვ.

პატარებს?

უხამსობას, თავგასულობას.

მერე და რატომ, ვინ აძლევს თავს ამის უფლებას?

ზვიად გამსახურდია.

ცნობილი მამის შვილი, - მისივე სახელის გამტეხი.

რატომ, ზვიად?

რა გინდა, თუ კაცი ხარ, რატომ არ ისვენებ, არ გეყო ამდენი უაზროდ წანწალი, რატომ ხუჭავ ძალით თვალს ყველაფერ კარგზე, რაც ჩვენში კეთდება, რატომ გგონია, რომ მხოლოდ შენა ხარ ამ ქვეყნის პატრონი და სხვა არავინ ფიქრობს მის მომავალზე, რატომ გგონია, რომ რასაც შენ და შენი ამფსონები მიედ-მოედებით, ის არის მართალი და სწორი, რატომ აბნევ ახალგაზრდობასაც?

ქვეყნის ბედ-იღბალს ჩვენ ვწყვეტთ - ათასები, მილიონები, ჩვენ ვართ მისი პატრონი! რა თქმა უნდა, მილიონები ერთეულებისაგან შედგება, მაგრამ არა შენისთანა მარტოკაცებისაგან.

რატომ სარგებლობ ბოროტად ჩვენი მოთმინებით, ხალხის მოთმინებით?

მამაშენი მაინც გაიხსენე. რა კარგად ბრძანებდა ის სახელგანთქმული: "როგორც ზოგიერთს კაცთაგანს, ცხოველსაც ასე სჩვევია, რაც შენ ქედმოდრეკილად ექცევი, მას ჰგონია, ჩემი ეშინია, თორემ რად მომეპყრობოდაო პატივისცემით?"

ასე იფიქრე, ალბათ, შენც: ჩემი ეშინიათ - დიდი მამის ამ პატარა შვილმა.

ალალი ხალხი ვართ - კაცის სიტყვისა გვჯერა. ასე დავიჯერეთ მაშინაც, როცა ზვიად გამსახურდია ტელევიზიით გამოვიდა და მილიონობით ადამიანს უთხრა: "შევცდი და გულწრფელად ვინანიებო ჩემს დანაშაულს, ან რატომ არ უნდა დაგვეჯერებინა! კაცი, ჩვენს მიწაზე დადის, ჩვენი ხელით მოწეულ პურსა ჭამს და ახალგაზრდული თავქარიანობისა, თუ შეცდომის შეგნების შემდეგ ისევ ჩვენს გვერდით რომ დამდგარიყო, რად უნდა გაგვეკვირვებინა?!

აფსუს, რა სიხარულით შევხვდით მაშინ შენს "მობრუნებას"! რა სიყვარულით, რა პატივისცემით წერდი მეცხვარეებზე, მათ შრომაზე, გასაჭირზე. 1979 წლის გაზეთ "სოფლის ცხოვრებაში" დაბეჭდილ ნარკვევს გაგახსენებთ.

მაშინაც ორპირობდი, თურმე.

ორპირობა - ფლიდობა, თაღლითობა, მოღალატეობააო, სწერია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, - გეხსომება ალბათ.

ისიც გეცოდინება, რას იმსახურებს მუშა კაცის დაკოჟრილი ხელების მოღალატე და ფლიდი.

საკუთარი სინდისის მოღალატე სხვას როგორ უერთგულებს...

მართლაც და, რა გინდა, რას გვედიდგულები?

მთელი შენი უზრუნველყოფილი სიცოცხლის მანძილზე ერთი ნერგი არ დაგირგავს და გიხარებია, სირცხვილია - მამის დარგული ხეების ჩრდილქვეშ აფარებ თავს ამ ხნის კაცი და უსაქმურად მყოფს ათასი უსარგებლო აზრი მოგდის თავში.

დაგიშავეთ რამე?! შეგისვით? შეგიჭამეთ? კალთა ჩამოგახიეთ: შენი ჭირიმე, გვესტუმრე და დაგვამშვენეო, თუ რა? დაუპატიჟებელი სტუმრის კვალობაზე ცოტა მეტი მოკრძალება ხომ არ გმართებდა მასპინძლების მიმართ?

სვეტიცხოველი კონსტანტინე არსაკიძემააშენა, მამაშენმა წიგნში უკვდავყო ქართველი კაცის გენია და ზღაპრული შრომისმოყვარეობა, შენ კი რაღად სჭრი ორივეს თავს და მარჯვენას? სხვის ნაღვაწზე ასე დიდგულად რადა ხარ? თავად რა გააკეთე? და, თუ რამე გაგიკეთებია, გვაცალე, შეფასების უფლება ხალხს დაუტოვე.

დავიჯეროთ ახლა ცენტერაძის დედაბერივით მთელი ეს ამოდენა ქვეყანა და საქმე მხოლოდ შენი და შენს ხტუნვას აყოლილი ამ უმწიფარა ახალგაზრდების სატირალი და საპატრონო გახდა?

ვაი, თუ უფრო სხვაგვარადაა საქმე. თუ მიხვდი, რომ მამის დიდებას ვერამც თუ დაეწეოდი, ახლოსაც ვერ მიეკარებოდი და ამ განდიდებისათვის საეჭვო წუნიაობისა და ბუტიაობის გზა აირჩიე. იმ დიდი მამის სულ გაფიცებთ, გვითხარი, ბოლოსდაბოლოს რას გვებუტები, რა გვმართებს შენი, თავად რა გაგიკეთებია, რომ სხვისი გაკეთებული არა დაგენახება-რა? ან ის რატომ უნდა მოგივიდეს კაცს, რომ მანქანის საჭესთან მთვრალი იჯდე, რისთვისაც, გახსოვს ალბათ, მართვის უფლება ჩამოგართვეს.

გამსახურდიას იმ დღეს თამარ ჩხეიძე "უმშვენებდა" მხარს.

თამარ ჩხეიძე:

უმაღლესი განათლების მქონე, არსად რომ არ მუშაობს, არ გვინდოდა, გვეხმარა სიტყვები: უსაქმური, დეზერტირი, თუმცა, როცა თითოეული სპეციალისტი ასე ძვირად გვილირს, სწორედ დეზერტირობაა სამუშაოსათვის თავის არიდება.

ამაზე თუ დაფიქრებულხარ, თამარ?

შვილო თამრიკო, ქართველობაზე რომ სდებ თავს, ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მისი ერის ღვიძლი შვილია და მხოლოდ ეროვნული ნიადაგიდან იზრდება მსოფლიო მოქალაქეობამდე.

შენ ისტორიკოსი ხარ და ჩვენი ქვეყნის წარსულს კარგად უნდა იცნობდე. ისიც გეცოდინება, რომ შენი ხნის ქართველი ქალები შენსავით ქუჩაში კი არ ალამებდნენ, ორ, სამ და მეტ შვილს უზრდიდნენ ერსა და სამშობლოს; ერთგულებას ყბედობით კი არა, საქმით ამტკიცებდნენ.

აბა, ვის რაში უნდა მხოლოდ ენაზე გამოკერებული სიყვარული?! ყველა ნამდვილ პატრიოტს შეურხია გულის სიმები საგარეჯოს რაიონში სოფელ უდაბნოს აღორძინებამ, შენ კი? შენ განაწილებითაც არ გამოცხადდი საგარეჯოში, რომ მცირეოდენი წვლილი მაინც შეგეტანა იქაურობის შესწავლა-აღორძინებაში. გამოდის, რომ სიტყვა შენი ერთია, საქმე - სხვა. ცხადია, სიტყვა უფრო ეფექტურია, ხალხი გისმენს, საქმეს კი ფუტკარივით შრომა და თავმდაბლობა სჭირდება. ეს თქვენ, ტრიბუნებად რომ მოგაქვთ თავი, ხელს არ გაძლევთ.

როგორ არ შვენის ქართველი ქალის მოკრძალებულ, მაგრამ ამაყ კდემამოსილებას შენი და შენსავით გზასაცდენილი რამდენიმე ქალიშვილის საქციელი?

რაში ხარჯავ შენს ყმაწვილქალობას, ენერგიას, ცოდნას, რატომ ამტვრევ ღია კარებს, საქართველოს რამდენი ღირსეული თამარი ჰყოლია, შენ რა დაგემართა, რატომ არცხვენ მამის სახელს, რატომ ცოტათი მაინც არ ჰგავხარ მისი ფილმების კეთილშობილ გმირებს?

ვგრძნობთ, ბევრი კითხვა რომ გვიგროვდება, ისიც ვიცით, ერთ წერილში ამდენი კითხვის ნიშანი რომ გამართლებული არ არის. მაგრამ, დარწმუნებული ვართ დადგა დრო როცა ყველა კითხვას კონკრეტული პასუხი უნდა გაეცეს.

პატივცემულო რევაზ, პატივცემულო თინა! ერთ ძირზე ვარდიც ამოდისო და ეკალიც, მაგრამ ეს რა გამართლებაა? ისიც ხომ გაგიგონიათ, ერთი ხისგან ბარიც გამოითლებაო და ნიჩაბიც. გააჩნია, პატრონი რას მოისურვებს და რას გამოთლის.

როგორ, რანაირად აღიზარდა თქვენს შორის ისეთი შვილი, რომელიც მორწმუნეობის /ისიც ცრუმორწმუნეობის/ ნიღაბს ამოფარებია და პრაქტიკულად არაფერი სწამს, რატომ არაფერი მიიღო მან თქვენგან მამის გვარისა, და სახელის გარდა? რატომ არ არის ოდნავად მასში რწმენა, რამაც გიორგი მახარაშვილი საკუთარი შვილის სახელის ამოკითხვისას წელში გამართა, რწმენა შინმოუსვლელი ღიმილის ბიჭებისა და რწმენა, რამაც მზისგან გადახრუკულ ვაიოს ველებზე ანკარა წყაროს ამოახეთქინა.

თუ საკუთარი მამა არ სწამს, მის შეხედულებებსა და აზრებს პატივს არ სცემს სხვას, უცხოს როგორღა იწამებს. განა იგივე სარწმუნოება არ ავალებს თავის წიაღსა შინა მყოფთ "პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსაო".

ან როგორ გაგახსენოთ, "რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მშობლები ვართ, ყველაფერი დანარჩენი კი - შემდეგ..."

რა კარგი იქნებოდა, რომ თქვენ, კარგ ფილმებთან ერთად, კარგი შვილითაც გეამაყათ?

გვაპატიეთ, პატივცემულო რევაზ, ყოველივე ამას თქვენი შემოქმედებისადმი დიდი პატივისცემა და საყოველთაო სიყვარული გვალაპარაკებს.

აქვე გვინდა ვკითხოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას, პარტიული კომიტეტის მდივანს პროფესორ გურამ ლორთქიფანიძეს,

გაგრძელება

ჩვენი ცოდნისა და სიწმინდის, მეცნიერების ტაძრის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, თუ როგორ იღებს უნივერსიტეტის დიპლომს ისეთი ახალგაზრდა, რომელმაც ზოგიერთი საგნიდან ვერაფერი შეითვისა და არც მუშაობის ხალისი გამოუხატავს ადგილზე განაწილების საგზურის მიღებისას.

როგორ ჩამოყალიბდა ასეთად თამრიკო ჩხეიძე, როგორ ხდება, რომ დიპლომს აძლევთ ახალგაზრდას, რომელიც აქვე, დედაქალაქთან ორ ნაბიჯზე წასვლას არ კადრულობს განაწილებაზე უარს ამბობს, თავს რჩეულთა ელიტას აკუთვნებს, ვითომდა ერის ბედ-იღბლის გადაწყვეტა აქვს მინდობილი, სინამდვილეში კი შრომა არ უნდა და სხვის ხარჯზე ცხოვრობს?

ვეკითხებით ა.პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს პროფესორ ნათელა ვასაძეს, პარტიული კომიტეტის მდივანს ვაჟა მანჯგალაძეს, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს დოცენტ ჭოლა თევზაძეს: რა ილონეთ იმისათვის, რომ დროზე აღგეკვეთათ ირაკლი სიდამონის ძე წერეთელის, კახა გურამის ძე იაშალაშვილის მცხეთაში "საროჭიკოდ" სიარული ან როდემდის გაგრძელდება ასე?

რითი ახსნიან მათი სტუდენტის "ღვთისმოსაობას", თუ ვაცალოთ, როგორი რწმენით აღზრდის ეს მომავალი პედაგოგი თავის მომავალ მოსწავლეებს? ყოველი ნამდვილი პედაგოგი, მოძღვარი როგორც ძველად უწოდებდნენ /მით უფრო ინსტიტუტი - მოძღვართმოძღვარი/, პერსონალურად უნდა აგებდეს პასუხს, უპირველეს ყოვლისა, მისი აღზრდილის რწმენისათვის, სამშობლოს სამსახურის მზადყოფნაზე, შვილად, მშობლად, მოქალაქედ მისი ვარგისობისათვის. ამის შემდეგ დავინტერესდებით ჩვენ მისი ცოდნით, რადგან ურწმუნოს ხელში რაიმეს ცოდნა, შესაძლოა საშიში უფრო აღმოჩნდეს, ვიდრე სასარგებლო.

ო, როგორ გვიმძიმს ყოველივე ამის თქმა, მაგრამ სატკივარი თავს მაინც არ დამალავს. მშობელი და აღმზრდელი - სხვას ვის მოვთხოვოთ პასუხი ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

გვახსენდება შემთხვევა ერთი კარგი ქართველი პედაგოგის ცხოვრებიდან.

ქალაქში პატივცემული პედაგოგი წვეულებაზე მიიწვიეს, მან საბოდიშო წერილი გაუგზავნა მასპინძელს: არასგზით არ შემიძლია მოსვლა, რადგან დიდი პირადი უბედურება შემემთხვაო. და ახლა არ იკითხავთ, რა იყო მისი პირადი უბედურება? მისმა მოსწავლემ ქუჩაში იჩხუბა.

აი, პატივცემულო აღმზრდელებო, რას ნიშნავს საქმით გამოხატული პირადი პასუხისმგებლობა. გვაპატიეთ ეს კადნიერება.

ვერ დავუმალავთ მწარე სიმართლეს ირაკლი წერეთლის მშობლებს - ხათუნა ალექსანდრეს ასულს და სიდამონ ირაკლის ძეს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ისინი ვერ ზრდიან ისეთ შვილს, რომელიც საზოგადოებას გამოადგება და ხალხის გულწრფელ მადლობას დაიმსახურებს.

უსარგებლო შვილის აღმზრდელი მშობლები იმ უნაყოფო ხეებს ჰგვანან, გაზაფხულზე ლამაზად რომ ყვავილობენ და შემოდგომაზე ნაყოფს არ იძლევიან. რას იზამთ, ქარის დამთესი მხოლოდ ქარიშხალს მოიმკის.

აღზრდასთან და ოჯახთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრის და მწარე შეფასების გაკეთებამ მოგვიწია, იქნებ გვითხრან კიდეც რა არის ამდენი მორალის კითხვაო?! დაგვერწმუნეთ, ეს მორალის კითხვა არ არის. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ აკაკის "გამზრდელი":

"...შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ,
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ"

ჩვენ გვინდა ამ წერილში მივმართოთ ყველა იმ კოლექტივს, სასწავლებელს, ოჯახს, ცალკეულ პირს, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონიათ და აქვთ ამ ახალგაზრდებს.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენმა დუმილმაც ხელი შეუწყო მათი სწორი გზიდან აცდენას, იმ რწმენის გაუფასურებას, რომლისთვისაც სისხლი დაღვარეს თქვენმავე მამებმა, ბიძებმა, ძმებმა? ამ რწმენაზე უარის თქმა ხომ მათი ღალატიცაა.

მომხდარი ყველას აწუხებს არა მარტო მცხეთაში, არა მარტო თბილისში, რესპუბლიკის ნებისმიერი კუთხიდან გვესმის ხალხის უსაზღვრო აღშფოთება ყოველივე ამის გამო. ჩვენ დღეს მრავალი კონკრეტული მისამართი დავასახელეთ. სამწუხაროდ, შეიძლებოდა, მაგრამ თუ ეს წერილი დაიბეჭდება, ისედაც დიდ ადგილს დაიკავებს ჩვენს პატარა გაზეთში. წერილი კი გვინდა დავამთავროთ კითხვით "სანამ უნდა ველოლიაოთ ასეთებს". და აქვე გთავაზობთ პასუხს: უმადურების თავგასულობას უნდა დაესვას წერტილი.

გიორგი მამულაშვილი

გაზეთი მცხეთა, 1981წლის 16 ოქტომბერი

# ინფორმაცია

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლევიმ პოლიტიკური შეფასება მისცა ერაყის მიერ ისრაელისადმი რაკეტების დაშენის ფაქტს. მან აღნიშნა, რომ ეს არის პროვოკაცია და ისრაელის ომში ჩათრევის მცდელობა. თავდაცვის მინისტრმა მოშე არენსმა კი განაცხადა, რომ ისრაელი მზად არის საპასუხო დარტყმისათვის და ეს დარტყმა განხორციელდება სამხედრო ვითარებიდან გამომდინარე.

ბატონმა ბუშმა მხარი დაუჭირა ისრაელის გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ უკვე მიღებულია ზომები თურქეთის საჰაერო ბაზებიდან ერაყის სარაკეტო დანადგარების კონტროლისათვის.

---

ამერიკის ხმის ცნობით, ერაყის შეიარაღებული ძალების ათწლიანი მოდერნიზაციის პროგრამაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, გერმანია და შეერთებული შტატები. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სსრკ-მ. ერაყის სამხედრო ტექნიკის 90 პროცენტი ხომ საბჭოურია. ერაყის ქიმიური პოტენციალის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის გერმანიას, რაც შეეხება ერაყის ბირთვულ იარაღს, იგი უკვე დასრულების სტადიაში იყო ფრანგი სპეციალისტების დახმარებით.

---

მიღებული ცნობების თანახმად, რთული ვითარების მიუხედავად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გრძელდება ებრაელ მოქალაქეთა ჩამოსვლა სამშობლოში. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან გაიზიარონ სამშობლოს გასაჭირი. აღნიშნავენ, რომ ჩამოსულთა შორის უმეტესობა სამხედრო დარგის სპეციალისტია.




---

მოსკოვმა გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ქსავიერ პერეს დე კუელიარს გაუგზავნა მოწოდება ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შეჩერების შესახებ.

გენერალური მდივნის პასუხში ხაზგასმულია, რომ ახლა საჭიროა არა ბრძოლის შეჩერება, არამედ ერაყზე საბოლოო გამარჯვება.

---

რადიოსადგურები:

"ისრაელის ხმა", "ამერიკის ხმა"



დროება

რედაქტორი - კოტე ჩოგოვაძე

ტექნიკური რედაქტორი - ვაჟა ძუწელია

სარედაქციო კოლეგია: ეთერ კახიძე, მარიამ თურმანიძე, ლალი ძევხიშვილი იზოლდა ჭილაძე. მალხაზ გაჩეჩილაძე

ფოტოკორესპონდენტები: გიორგი ედილაშვილი, მარი გიორგაძე, დათო გორდელაძე

მისამართი: თბილისი, 380008 რუსთაველის გამზ. №29 ტ. 93.70.21

ფასი 1 მანეთი

დროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი ბაქრაძის რადიოინტერვიუ



1990 წლის 7 თებერვალს საქართველოს რადიოთი მხატვრულ პუბლიცისტურ პროგრამა "დროება"-ში გადაიცა ბატონ აკაკი ბაქრაძის ინტერვიუ, რომელიც მას ჟურნალისტმა ზინა მჭედლურმა ჩამოართვა. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ ინტერვიუდან.

ზ.მ. საქართველოს ხელისუფლებამ რომ შესძლოს მოსკოვთან ბრძოლა, ამ ურთიერთობათა მოწესრიგება, ალბათ აუცილებელი არის, რომ შინ იყოს ყველაფერი რიგზე. სამწუხაროდ ჩვენთან ყველაფერი რიგზე არ არის, არსებობენ ძალები, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უშლიან ამ მოძრაობას...

ა.ბ. ერთი გარემოება არის გასათვალისწინებელი. ეს გარემოება არის ის, რომ ერთია როცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, არსებობს კამათი, პაექრობა ამა თუ იმ მოვლენის გამო, რასაც აუცილებლად მხარი უნდა დავუჭიროთ, თუ რა თქმა უნდა დემოკრატიული პრინციპით გვინდა ვიარსებოთ /შენიშვნა - ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია/. და არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ვთქვათ სხვადასხვა აზრი თუნდაც უკიდურესად დაპირისპირებული და საპაექროდ გამხდარი არის მტრობა. ჩვენ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, როდესაც არის კამათი, დავა მოყვრული პოზიციიდან, იმისაგან, რასაც შეიძლება საგანგებოდ ინსპირირებული მტრობა ვუწოდოთ. ესენი ერთმანეთისაგან სერიოზულად უნდა გავარჩიოთ, ამიტომ მე ჯერჯერობით მცდნად საშიშად ჩვენ შიგნით არსებული დავა-კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, პოზიციათა განსხვავება არ მიმაჩნია, რამდენადაც ის, რაც უშუალოდ უკავშირდება ეთნოკრიზისებს და ეკონომიკურ საკითხებს. ეს ორი მე გაცილებით უფრო მძაფრ და საშიშ მოვლენად მიმაჩნია ვიდრე, ვთქვათ, უმძაფრესი დავა, კამათი, მითუმეტეს ახლა ჩვენ ვერ დავიკვეხნით დიდი კულტურით პაექრობისა, კამათისა და ხშირად ერთმანეთს უკადრისი სიტყვებითაც ვლანძღავთ და ვაგინებთ, მაგრამ სამწუხაროდ ეს ჩვენი ისტორიული ბედის შედეგია, როდესაც არსებითად მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენ არ ვიცით რა არის დემოკრატია, რა არის დავა, კამათი, როგორ მიმდინარეობს ეს პოლიტიკაში, როგორ შეიძლება, ვთქვათ ორი პოლიტიკურად მოწინააღმდეგე, ცხოვრებაში მეგობრებიც კი იყვნენ. ეს უცხოა ჩვენთვის ყველაფერი, ამას თანდათანობით უნდა სწავლა და თანდათანობით უნდა შეძენა. ამის წინააღმდეგ არ შეიძლება ჩვენ წავიდეთ, იმიტომ, რომ სწორედ ამის წინააღმდეგ თუ წავედით მაშინ კიდევ ერთხელ ხელს შევუშლით ჩვენში აზრის განვითარებას, აზრის მრავალფეროვნებას. თუ ამას ხელი შევუწყვეთ, მაშინ გაცილებით უფრო დიდი საფრთხე შეიძლება დაგვემუქროს, ვიდრე ამ აზრთა სხვადასხვაობის დროს იბადება.

ზ.მ. მაგრამ აი თუ ამ აზრთა სხვადასხვაობას მოქმედება მოჰყვება ბატონო აკაკი...

ა.ბ. გააჩნია რა მოქმედება, რა იგულისხმება ამ მოქმედებაში.

ზ.მ. მე ვგულისხმობ დაპირისპირებას.

ა.ბ. არა კი მაგრამ რითი გამოხატულ დაპირისპირებას, აი ვთქვათ რაში გამოიხატება ეს დაპირისპირება? თუ ეს გამოიხატება, დაპირისპირება გამოიხატება იმითი, რომ იქნება გამოთქმული აზრი, რომ ეს პრობლემა შეიძლება ასე უკეთ გადაწყდეს, ანდა ვთქვათ ესა თუ ის საკითხი ასე შეიძლება გადავწყვიტოთ და სხვა და სხვა მაშინ რა თქმა უნდა ჩემი აზრით ეს საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ თუ ეს დაპირისპირება გამოიხატა იმაში, რომ ჩვენ ერთმანეთს ომი გამოვუცხადეთ, მაშინ ბუნებრივია ეს საშინელებაა, რადგან ეს ის სამოქალაქო ომია, რომელზედაც მე წეღან მოგახსენებდით...

---

...კომპარტია არის ჩემი აზრით ის რეალური ძალა, რომელიც ისევ შეეცდება ძალაუფლების დაბრუნებას და იმ პროცესის შეჩერებას, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს. როგორი ვითარებაც არ უნდა იყოს, როგორი დაძაბული და მძაფრი ურთიერთობაც არ უნდა არსებობდეს უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის, მათ შორის მოიძებნება ის ადგილები, სადაც მოხდება მათი შეხვედრა, მოიძებნება საერთო ნიადაგი, რომელზედაც მათი შეთანხმება შეიძლება აიგოს და აშენდეს, მაშინ, როდესაც ეს არასოდეს არ მოხერხდება კომპარტიასთან. და რაკი არ მოხერხდება, ბუნებრივია, რომ კომპარტია ჯერჯერობით ინარჩუნებს იმ ძალას, რომელიც ხვალ შეიძლება მოგვევლინოს როგორც ყველაზე უფრო აქტიური მებრძოლი ძველი რეჟიმის აღდგენისა.

## შეჩერდით!

რამდენიმე წლის წინ, როდესაც 1978 წელს საქართველოს კონსტიტუციის პროექტში კრემლის მიერ ამოღებულ იქნა მუხლი - ქართული ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ, ჩემს ცნობიერებაში არსებითი გადატრიალება მოხდა კომუნისტური მმართველობის მიმართ. ცხადად დავინახე, რომ საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა რეალურ სინამდვილეს და ორივე ერთად - ჭეშმარიტ სამართლიანობას. იმ დროიდან მოყოლებული შეძლებისდაგვარად ჩავდექი ეროვნული და დემოკრატიული მომავლის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მოწინააღმდეგენი მსაყვედურობდნენ: "რას იბრძვით. კომუნისტები თუ წავლენ, სხვა გაბატონდება, ხალხისთვის კი ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა ექნებაო". მე ამას მყისვე უარვყოფდი: "დემოკრატიულ საზოგადოებას თუ ავაშენებთ, დიქტატურა გამორიცხულია-მეთქი". გულში კი ფარულად გამკენწლავდა ხოლმე ეჭვი: ვაი თუ, მსგავსი რამ მართლა განმეორდეს-მეთქი.

ჩემი შიში დღეს მიმდინარე მოვლენებით, თითქმის მართლდება /სხვათა შორის, იმის იმედიც არა მაქვს, რომ ამ წერილს დაბეჭდავენ/. საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთმა ფრთამ /ზ.გამსახურდიას მიმდინარეობა/ უარი თქვა ეროვნული კონგრესის არჩევნებზე და შევიდა უზენაეს საბჭოში. მეორე ფრთა კი /ირ. წერეთლის მიმდინარეობა/ დარჩა ეროვნული კონგრესის იდეის მომხრე და აირჩია ეროვნული კონგრესი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი /და არა ხელისუფლების/ ორგანო და შესაბამისი პოლიტიკური მოსაზრებით, ბოიკოტი გამოუცხადა უზენაესი საბჭოს არჩევნებს. ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ კი არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგ, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ოპოზიციას /ეროვნულ კონგრესს/. ამისათვის მიმართავს ნაცად ხერხს: ხელი ჩასჭიდოს ადრე სისხლის სამართლისათვის გასამართლებულ პირთ და ამ "ქუდის" ქვეშ სახელი გაუტეხოს და ანგარიში გაუსწოროს ყველა პატრიოტულ ძალას.

დამნაშავე რასაკვირველია უნდა დაისაჯოს, მაგრამ უზნეობაა, კაცს ადრე ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც მან თავის დროზე სასჯელი მოიხადა, ახლა გაახსენო და ამას გამუდმებით უკიჟინებდე. ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ წარსულის მუდმივი გახსენებით, უფრო უბიძგებ ადამიანს დანაშაულისაკენ. ამით უფრო ამახინჯებ არა მარტო ამ ადამიანის, არამედ საზოგადოების, გარეშე მაყურებელთა სულსაც. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ ყველა ერთად ვამბობდით, რომ ანგარიშსწორებას არ დავუშვებდით თვით კომუნისტების მიმართაც კი, რადგან ისინი მაინც ჩვენი "შეცდენილი ძმებიაო" ახლა კი რა ხდება? როგორც კი აირჩა ახალი უზენაესი საბჭო, ხელახლა დაიწყო ის მეთოდები, რაც 1989 წლის 9 აპრილამდე იყო: ტელევიზიით იკითხება და პრესაში იბეჭდება "მშრომელთა წერილები" მხოლოდ მთავრობის სასარგებლოდ; ვიღაც, პოლიტიკაში ჩაუხედავი ქალები მოღალატეს უწოდებენ აკაკი ბაქრაძეს და ანონიმურ წერილებს უგზავნიან მას; ირ.წერეთელზე ქვეყნდება ქალების წერილები, რომ სადღაც, გაბრაზებულ გულზე მათთვის შეურაცხმყოფელად მიუმართავს და ახლა "საქმეს" უქმნიან. /სხვათა შორის, ორი წლის წინ, გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა ერთი ქალბატონის წერილი, რომელშიც იგი ამბობს, რომ თითქოს "ზვიად გამსახურდია ტელეფონით დაემუქრა, თუ ამას და ამას არ გააკეთებ, გაგაუპატიურებო"/.

გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელში" ამა წლის 23 თებერვალს დაიბეჭდა საქართველოს ჩეკას მიერ, 1924 წელს დახვრეტილ პატრიოტთა სია, რომლის პირველი შვიდი პიროვნება გაუსამართლებიათ ბანდიტიზმის მოტივით. მაგრამ, მათი გვარები გაზეთმა არ გამოაქვეყნა, პირველი 7 ჩვენთვის საინტერესო არააო, შენიშნავს რედაქცია. რატომ? მე პირადად ის შვიდი კაციც მაინტერესებს. მაგრამ, იმიტომ არ გამოაქვეყნეს, რომ მაშინ, ხალხი აშკარად დაინახავდა მსგავსებას იმ დროინდელ და ახლანდელ ვითარებას შორის, რასაც "მხედრიონის" წევრებისა და ოპოზიციისადმი მიმართავენ. ალბათ ახლაც დგება მსგავსი სია, რომელშიც "ქუდად" იქნება: ჯაბა იოსელიანი, ზაზა ვეძხვაძე და სხვა "ბანდიტები", შემდეგ კი ირ.წერეთელი, ირ,ბათიაშვილი, აკაკი ბაქრაძე, გიორგი ჭანტურია და ა.შ. ჩვენ ყველანი.

ნუთუ ეს ყველაფერი არ ესმის ზვიად გამსახურდიას? რა თქმა უნდა ესმის. მაგრამ, იგი მოიცვა შიშმა, რომ ვისაც მისი პოზიცია არ უჭირავს, ყველას მისი მოკვლა სურს. ამ შიშის გამო იგი არ ცნობს არავითარ ოპოზიციას, მას "მხედრიონთან" აიგივებს და მიტინგებზე მათი ფიზიკური განადგურებისაკენ მოუწოდებს. ახლახან, 23 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე, ერთ-ერთ ჟურნალისტს ასე უპასუხა: "მეგობრებო, უნდა გითხრათ, რომ ფაქტობრივად "მრგვალი მაგიდის" გარდა საქართველოში არავითარი პარტია არ არსებობს. ყველა ისინი ტერორისტული ბანდებია და შერწყმული არიან მხედრიონთანო და ა.შ." ღმერთმა შეგინდოთ, ბატონო ზვიად!

ისევე როგორც ექიმი "ხედავს" პაციენტის სისხლის მიმოქცევას, მე, როგორც ეკონომისტი, ასევე ვგრძნობ, რომ საბჭოთა კავშირის და მ.შ. საქართველოს ეკონომიკა კვლავ იმპერიული მაფიის ხელშია. საქართველოს ეკონომიკის სურათი არსებითად იგივე რჩება, როგორიც იყო. რაც მაფიქრებინებს იმას, რომ გარკვეულ ძალებს, არ სურთ რა სამართლებრივი და დემოკრატიული ეკონომიკა, გადაწყვეტილი აქვთ, ამჟერად ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს ამოფარებულებმა, რეალური ძალაუფლება კვლავ შეინარჩუნონ. ამ მიზნით ისინი, იყენებენ რა პოზიციურ განსხვავებას ეროვნულ კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის, მოქმედებენ ფარულად და სურთ ზვიად გამსახურდიას ხელით გაუსწორდნენ დანარჩენ პატრიოტებს ბოლოს კი მასაც თავიდან მოიცილებენ, რათა ყველაფერი კვლავ დამნაშავე და უზნეო იმპერიული მაფიების ხელში დარჩეს და შესაბამისად, კარგა ხნით დასამარდეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ ანგარიშსწორება განსხვავებულად მოაზროვნე პიროვნებების წინააღმდეგ ხორციელდება ძველი "ნაცადი" მეთოდებით, თორემ მთავრობა რომ რეალურად ახალი იყოს, ერთ ახალ მეთოდს მაინც გამოიგონებდა.

მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ირგვლივ ხდება: დაბეზღება, ცილისწამება, ჩასაფრება წამოცდენილი სიტყვის გამო, "მშრომელთა წერილების" აჟიოტაჟი, პრესისა და რადიო-ტელევიზიის გადაკეტვა მოწინააღმდეგე მხარისათვის, დაუნდობლობა ინტელიგენციისადმი და ა.შ. ნათლად ადასტურებენ იმას, რომ საქართველოს ახლანდელი მთავრობა ქრისტიანული საქართველოს მშენებლობას არ უყრის საფუძველს. ეს ინკვიზიციის დასაწყისია. შეჩერდით ძმებო! ახალი "37" საქართველოში აღარ გაივლა! ამას თვით მაცხოვარი აღარ დაუშვებს. დედამიწაზე მეორედ მოსვლა დაწყებულია. საქართველოში კი მაცხოვარი უკვე გამოცხადდა. იგი გამოეცხადა პატარა გოგონას სოფელ კეხვში... გეშინოდეთ ღვთის მახვილით განკითხვისა. ჩვენ მისთვის ყველანი თანაბარი ვართ.

ვიყოთ ღვთისმოშიში და ურთიერთ მიმტევებელნი, რაც უპირველესად საქართველოს მთავრობას მოეთხოვება. განიწმინდეთ, სანამ დროა!

 იზოლდა ჰილაძე

ეკ.მეცნ.კანდ. თსუ დოცენტი

26.02.91წ.

---

## მკვდარია სსრკ ?!

ცივი ომის დასასრულს, სსრკ როგორც არ უნდა შეეცადოს, რომ თავს გაუტოლოს აშშ-ს და გაეროს, მაინც ვეღარ მოგვევლინება სუპერ სახელმწიფოდ, რადგან, როგორც მოსკოვში ამბობენ, საბჭოთა კავშირი უკვე აღარ წარმოადგენს ერთიან სახელმწიფოს არც პოლიტიკურად და არც ეკონომიურად. და ეს ფაქტი საკმაო გავლენას იქონიებს მომავალშიც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ბუშის ყურადღების ცენტრშია არა მარტო სპარსეთის ყურის კრიზისი, არამედ სსრკ-ში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც.

სსრკ-ში კომუნისტური წყობის რეფორმა შეუძლებელია. აუცილებელია მისი დემონტაჟი, რათა ხალხი, რომელიც მას დაანგრევს, გადარჩეს. გორბაჩოვის მიერ სანახევროდ მიღებული ზომები, მხოლოდ რეფორმების ილუზიას ქმნიან და ამით ის გაურბის ჭეშმარიტების მომენტს.

9 აპრილის მოვლენები თბილისში, ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობა, ბერლინის კედლის დანგრევა, ბალტიის რესპუბლიკების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ, აჯანყება ბაქოში, მარტის არჩევნებში დემოკრატიული ოპოზიციის გამარჯვება, ბორის ელცინის არჩევა რუსეთის პრეზიდენტად, მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში, ზოგიერთი რესპუბლიკის მიერ სუვერენიტეტის გამოცხადება, ყველაფერი ეს ძლიერი შოკია ცენტრალური ხელისუფლებისთვის და ამავე დროს სსრკ-ს ნგრევის დასაწყისი. ზემოთ აღნიშნული მოვლენების მიზეზად უნდა ჩაითვალოს გორბაჩოვის მიერ ე.წ. "პერესტროიკის" არათანმიმდევრული განხორციელება. მას ყურადღება გადატანილი ჰქონდა მხოლოდ საჯაროობაზე და დემოკრატიაზე, მაშინ, როცა ეკონომიკის დარგში ფაქტიურად არაფერი კეთდებოდა. საბჭოთა კავშირს მართავს მერყევი ტრიუმვირატი: მარცხენა ფრთაზე - დემოკრატიული მოძრაობა, მარჯვენაზე - ცკ-ს აპარატი, რომელსაც თავის კონტროლის ქვეშ ჰყავს შორეული პროვინციები, სამრეწველო სამინისტროები, ჯარის ნაწილები და სუკი. ცენტრში კი დგას პრეზიდენტი გორბაჩოვი და საბჭოთა მთავრობა, რომელიც თანდათან კარგავს მნიშვნელობას რეალურ პოლიტიკურ ბრძოლაში. გორბაჩოვის მიერ ყრილობაზე ჩატარებული ინტრიგებით მოპოვებული გამარჯვება ფუჭი აღმოჩნდა და იგი დღეს, მოწინააღმდეგე "სარდლების" გარემოცვაში, ქვრივად დარჩენილ ჩინელ დედოფალს მოგვაგონებს.

ივლისის დასაწყისში, ჰიუსტონში, სახელმწიფო მეთაურების შეხვედრის შემდეგ დასავლეთი ოფიციალურად უჭერს მხარს საბჭოურ ტრანსფორმაციებს. მაგრამ დღევანდელ მერყევ სიტუაციაში ვის უნდა დავუჭიროთ მხარი? ფაქტია, რომ არა იმათ, ვინც იცავს კომპარტიის სტრუქტურებს და ჩავარდნილ გეგმებს, მაგრამ სანამ ეს სტრუქტურები მაინც არსებობს, იძულებული ვიქნებით მათთან ვიქონიოთ საქმე. საერთაშორისო და ძირითად ეკონომიკურ საქმიანობაში ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ გორბაჩოვთან, იმის მიუხედავად, რომ დახმარების ნაწილი შეიძლება წყალში ჩაყრილი აღმოჩნდეს. ვინაიდან გორბაჩოვი დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს, დემოკრატიული ოპოზიცია მის გარეშე ვერაფერს გახდება.

მაგრამ ჩვენ, მოსკოვის გვერდის ავლით, სულ უფრო მეტად უნდა ვითანამშრომლოთ ადგილობრივ დემოკრატიულ ძალებთან, რომლებიც ცდილობენ კომუნიზმისგან თავის დაღწევას. ამ მოძრაობის ლიდერები აქტიურად ცდილობენ დასავლეთთან კონტაქტების დამყარებას, მაგრამ რომელ მხარესაც არ უნდა შევეხოთ, ჩვენ საქმე გვაქვს საშინელ ეკონომიკურ სილატაკესთან, ამიტომ ჩვენი მხარდაჭერა აღმოსავლეთისადმი მოითხოვს ათეულწლობით მატერიალურ დახმარებას, რითიც შესაძლოა კომუნიზმის მარწუხებისგან განთავისუფლების ტვირთის შემსუბუქება.

მარტინ მელია

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი

P.S. მარტინ მელია დიდი ხნით იმყოფებოდა სსრკ-ში დიპლომატიური მისიით, აშშ საელჩოში.

დროება

დროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „7 დღის" 1991წ. 11 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ოსი ეროვნების ექვსი მოქალაქე ფეხით მიემართება ჰელსინკისკენ და გზადაგზა აწყობს მიტინგებს და მანიფესტაციებს. ერთ-ერთი ასეთი მიტინგი მათ ჩაატარეს ვორონეჟშიც, სადაც ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ავიწროებენ ქართველები მათ თანამემამულეებს. ქვემოთ ვბეჭდავთ პროკლამაციის ტექსტს, რომლებსაც ისინი გზადაგზა ავრცელებენ.

## ОБРАЩЕНИЕ
## ГРАЖДАН ЮЖНОЙ ОСЕТИИ

Мы, граждане Южной Осетии обращаемся к Советской и мировой общественности с просьбой поддержать нас в эти трудные дни.

Многострадальный осетинский народ дважды испытал на себе геноцид от правительства и неформальных движений Грузии. Постоянно живя под давлением Грузии мы никогда не испытали вкуса и чувства свободы. Нашим делом были нарушение наших прав и свобод, постоянное уважение нашего человеческого достоинства.

Последние годы мы со стороны Грузии испытали террор и насилие.

Это было ответом на наше стремление заявить о себе, как о народе, который несмотря ни на что не потерял своего национального сознания и понимание того, что мы несем в себе свободолюбивый дух наших легендарных предков-А Л А Н.

Высшим органом власти Южной Осетии вынесена Декларация о суверенитете в котором нашли выражение заботы и тревоги осетинского народа о своем будущем.

Но правительство Грузии всячески препятствует реализации волеизъявления осетинского народа. Не признает прав осетинского народа на свободу и самовыражение.

Заявляя о создание демократического государства Грузии, грузинское руководство на самом деле встало на путь попрания прав негрузинских народов.

Не находя иного пути заявить о трагедии нависшей над осетинским народом, мы выбрали этот марш протеста против несправедливости надеясь на поддержку всех граждан, которым дороги идеалы прав и свободы ЧЕЛОВЕКА.

Обращаясь к каждому из вас, от имени осетинского народа, просим поддержать наши справедливые требования.

# მოვითხოვთ დემოკრატიას!

როგორც ცნობილია, 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ამ დეკლარაციის მე-19 მუხლში გარკვეულად სწერია, რომ "ყველა ადამიანს აქვს უფლება თავისი აზრისა და მრწამსის გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა შეუზღუდავად დაიცვას თავისი მრწამსი და მას აქვს უფლება თავისუფლად ეძებოს, მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეა ყველანაირი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

აღსანიშნავია, რომ გაერომ ამ დეკლარაციის პრეამბულაში ყველა ხალხს და ყველა სახელმწიფოს ამოცანად დაუსახა მისი ყველა მუხლის შესრულება, რათა ყოველმა ადამიანმა და საზოგადოების ყოველმა ორგანომ მხედველობაში იქონიოს მოცემული დეკლარაცია და მიისწრაფოდეს განათლებისა და თვითშეგნების გზით მიაღწიოს ამ უფლებათა პატივისცემას, ხოლო ეროვნული და საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით უზრუნველყოს მისი საყოველთაო აღიარება და მისი განხორციელება, როგორც გაეროში შემავალ სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის, ასევე იმ ქვეყნებს შორისაც, რომელთა ტერიტორია უშუალოდ არ ექვემდებარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იურისდიქციას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დეკლარაცია 42 წლის მანძილზე, კომუნისტური ტერორის პირობებში არ იყო ცნობილი ჩვენი მრავალტანჯული ერისთვის, ყველა ჩვენგანი და წინა თაობის წარმომადგენელი, გულით და გონებით იყო და რჩება თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეის მატარებლად. იმ პირობებში, როცა საბჭოთა იმპერია ცდილობს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მოდერნიზებას, რათა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე წარსდგეს უფრო ცივილიზებული სახით, როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია. მან თავისი ტენდენციური საჯაროობით და ინფორმაციის ვითომ თავისუფალი გაცვლით ხალხი მიიყვანა დაბნეულობამდე და შესძლო კიდევაც მათი მოტყუება. ამის მაგალითად სამწუხაროდ საქართველოც შეიძლება მოვიყვანოთ, სადაც ხალხი მთელი თავისი არსებობის მანძილზე მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. კრემლის მიერ წამოწყებული ნეოკომუნისტური პროპაგანდით, ე.წ. "გლასნოსტით" და "პერესტროიკით", ხალხი შეყვანილი იქნა დაბნეულობაში, რასაც მოჰყვა საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნები, რითაც წარმატებით დამთავრდა ე.წ. "პერესტროიკის" ერთ-ერთი ეტაპი.

ე.წ. "გარდაქმნის" პროცესში სსრკ-ს მრავალ რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც წარმოიშვა ეთნოკონფლიქტები, რომელთა კოორდინაციას ახორციელებდა და ახორციელებს კრემლი, რომელიც ქართველ ხალხს არ აძლევს საშუალებას თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ამ პირობებში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას აქვს პოლიტიკური და მორალური უფლება აწარმოოს უკომპრომისო ბრძოლა პოლიტიკური ხერხებით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით კრემლის მზაკვრული პოლიტიკის წინააღმდეგ. ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ მკითხველის "სამსჯავროზე" გამოგვაქვს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების საკითხი, რადგან ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს სრული და არატენდენციური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ.

ამიტომ, ჩვენ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, რომ რესპუბლიკის წამყვანმა გაზეთებმა დაუთმოს ერთი გვერდი მაინც იმ პარტიებს და ორგანიზაციებს, რომლებიც შედიან საქართველოს ეროვნულ კონგრესში, ხოლო საქართველოს ტელევიზიამ მოაწყოს ყოველდღიური გადაცემა "ალტერნატიული საათი", სადაც კომპეტენტურ ოპონენტებს მიეცემათ თავიანთი პოლიტიკური მრწამსისა და შეხედულების თავისუფალი გადმოცემის საშუალება, რა თქმა უნდა, ეთიკისა და მორალის ყველა ნორმის დაცვით. ეს არის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც სრულდება ნებისმიერ ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანაში. მით უფრო, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მთელი ხუთი წელიწადი. ხალხი იბრძვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზების ძებნაში საზოგადოება დაქსაქსულია. დემოკრატიულ ჩარჩოებში მიმდინარე აზრთა გაცვლა-გამოცვლა სასარგებლო იქნება პოლიტიკური პროცესების განვითარებისათვის, რაც საბოლოოდ მიგვიყვანს დიალოგამდე, თანხმობამდე და მთელი ქართველი ერის გაერთიანებამდე ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

გვფარავდეს ღმერთი!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სახელით

კობე ჩოჩუაძე

# კვლავ გვჭირდება ცენზორები?!

როგორც ალბათ შეამჩნიეთ ჩვენი გაზეთის 23-ე და 24-ე ნომრები განსხვავებული ფორმისაა. საქმე იმაშია, რომ საწარმოო გაერთიანება "ალიონის" დირექტორმა იური სალუქვაძემ (რომლისადმი დაქვემდებარებულ სტამბაშიც იბეჭდებოდა გაზეთი "დროება") არ ისურვა გაზეთის დაბეჭდვა, რადგან მასში მოთავსებულ ზოგიერთ პუბლიკაციაში დღევანდელი ხელისუფლება იყო გაკრიტიკებული. მართალია, ამ წერილებში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას თვით გაზეთის რედკოლეგიაც არ იზიარებს, მაგრამ რადგან ყველას უნდა ჰქონდეს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება, ჩვენ უარი არ გვითქვამს მათ გამოქვეყნებაზე. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბ-ნმა იურიმ თავის თავზე ის ფუნქციები აიღო, რომელიც ადრე რუსთაველის გამზირზე მდებარე ერთი "დელიკატური" ორგანიზაციის – მთავლიტის კომპეტენციაში შედიოდა. ალბათ დაგვეთანხმება ჩვენი მკითხველი თუ ვიტყვით, რომ მისი და მისდაგვარების ასეთი საქციელი მხოლოდ სახელს უტეხს დღევანდელ ხელისუფლებას და მის ოპონენტებს აძლევს საბაბს, რომ მას არადემოკრატიულობაში დასდონ ბრალი.

რთული და დაძაბული იყო გაზეთ "დროების" წარმომადგენლებისა და საწარმოო გაერთიანება "ალიონის" დირექტორის ურთიერთობის ისტორია, რომელიც 1990 წლის 23 მარტს დაიწყო. მაშინ რამდენიმე იქაურმა თანამშრომელმა კონსპირაციულად დაგვიბეჭდა გაზეთის ოთხფურციანი ნომერი, რაც იმ დროის არაფორმალური პრესისთვის ფანტასტიკური რამ იყო. მაგრამ მალე ეს შეიტყო ბატონმა "ცენზორმა" და დაიწყო ის ხანგრძლივი, დაძაბული ურთიერთობა, რომელიც დღემდე გრძელდება. გაზეთის დასაბეჭდად დიდი ხვეწნა-მუდარა, ჩხუბი და დავიდარაბა გვიხდებოდა.

მიზეზი და მიზეზი ჩვენი თავიდან მოცილებისა იყო ბ-ნი სალუქვაძის ავადმყოფური შიშის კომპლექსი ხელისუფლების მიმართ. (ადრე ძველის ეშინოდა, ახლა კი ახლის) ოლო ჩვენი პარტია მაშინაც და ახლაც ოპოზიციას წარმოადგენს.

მიუხედავად არაერთი ტექნიკური დახმარებისა, რომელიც ჩვენ "ალიონის" სტამბას აღმოვუჩინეთ, ვერანაირად ვერ შევძელით ამ ჭირვეული კაცის გულის მოგება. იგი ყოველი ახალი ნომრის დაბეჭდვისას ხან რას მოიგონებდა და ხან რას, იმის იმედით, რომ თავს დავანებებდით.

მაინც რა უნდა ბატონ ცენზორს? მხოლოდ ერთი რამ: რომ მის აპარტამენტში მისი ნებართვის გარეშე არავინ გაიჭაჭანოს. მას სულ ეშინია, რომ ვიღაც ჩაერევა მის საქმეებში, რომ "დროების" პუბლიკაციის ვინმე დაინტერესდება მისი დაწესებულების ფინანსური საკითხებით, რითაც საფრთხე შეექმნება მის ჯიბესა და სავარძელს.

მაინც ვინ არის იური სალუქვაძე? მიუხედავად იმისა, რომ იგი გულში მჯიღს იცემს – ეროვნული მოძრაობის ერთგული ვარო, დღემდე გულის ჯიბით პარტბილეთს ატარებს, თუმცა იგი არც ბოლშევიკური იდეების ერთგულია, არც უზენაეს საბჭოზე ამოსული მზე და მთვარე და არც ეროვნული კონგრესის სიყვარულით გიჟდება, ის ერთი კლეპტოკრატი, პოლიტიკაში საერთოდ უპოზიციო კაცია.

მიუხედავად "ალიონის" კოლექტივის ჩვენდამი საკმაოდ კეთილი დამოკიდებულებისა და ურთიერთსასარგებლო კონტაქტებისა, იგი იქედან გამოდის, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არ შედის მმართველ კოალიციაში და ამდენად მისი მშიშარა ბუნების გამო, ჩვენ მისთვის არასასარგებლო პარტნიორებს წარმოვადგენთ, მაგრამ მას ავიწყდება, რომ სედპ დღესაც საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს, და ცოტა ნაადრევია მისი "ჩამოწერა". პოლიტიკური ასპარეზის ზენიტში ხან ერთნი არიან, ხან მეორენი, ასე, რომ ხვალინდელი დღის პროგნოზის გაკეთება, ჩვენს ცვალებად დროში ცოტა რთული საქმეა...

იმათთვის, კი ვინც მთავრობის შესახებ რაიმეს დაწერას აპირებს, ვურჩევთ რჩევა-დარიგებისათვის "რესპუბლიკის მთავარი ცენზორობის კანდიდატს" ბატონ იური სალუქვაძეს მიმართონ.

მისამართი: თბილისი, კუკია, საწარმოო გაერთიანება "ალიონი"
ტელეფონი 95 83 08

# თბილისი დღეს








დროება